პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 202 (9978) | ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

შეუპოვრად ვიბრძოლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებისათვის. — 28 გოჯი დედაღორზე. როგორ გავადიდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა. მავცემთ სამშობლოს მეტ პროდუქტებს. დიდი პერსპექტივები. აგრონომის ჩანაწერები (მე-2 გვერდი).

გაჭიანურებული მშენებლობა (მე-3 გვერდი).

რა აფერხებს ბოსტნეულის გაზიდვას? (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას. — მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის. რატომ დაკეტეს ტექნიკური ბიბლიოთეკა? (მე-3 გვერდი).

ნორმალური პირობები შევუქმნათ [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეცხოველეობის მეჯი პროდუქცია ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე

დღეს „პრავდაში" მოთხრობილია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის იმ მონაწილეთა გამოცდილების შესახებ, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის დარგში. ეს გამოცდილება ცხადყოფს, თუ რა უდიდესი რეზერვები აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

მოწინავეთა მაჩვენებლები მნიშვნელოვნად სჭარბობს იმ საშუალო დონეს, რომელსაც ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიაღწია.

აი ციფრები და ფაქტები, რომლებიც დღეს აკურობენ სოფლის ყველა მშრომელის ყურადღებას. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ოვითეული ძროხის საშუალო წველადობა არ აღემატება 1.300-1.500 კილოგრამს, ხოლო მოწინავე მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობებში „კარავაევო", „ლენინი პოლიანი", „გორკი-II", „ხოლმოგორკა" — მთელი რიგი წლების მანძილზე წველადობა შეადგენს 5-6 ათას კილოგრამს. არხანგელსკის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნმა", კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბერმა", მოსკოვის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და მრავალმა სხვამ მიაღწია 4-5 ათას კილოგრამ საშუალო წველადობას. კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა. ჩვენს ქვეყანაში ცნობილმა მწველავებმა ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. სმირნოვამ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. კირიჩენკომ 7-8 ათასი კილოგრამი რძე მიიღეს თვითეულ ძროხაზე.

ასეთივე მდგომარეობაა მეცხოველეობის სხვა დარგებშიც. ცალკეულ ოლქებში მატყლის ნაპარსი შეადგენს 2-3 კილოგრამს თვითეულ ცხვარზე. ამავე დროს საბჭოთა მეურნეობები „სოვეტსკე რუნო", „ბოლშევიკი", „რუბცოვსკი", „ჩერვლიონიე ბურუნი" და სხვები იღებენ 6,5-7 კილოგრამ წმინდა მატყლს თითო ცხვარზე.

მეღორეობის დარგში თავისი მიღწევებით ცნობილი არიან ისეთი ოსტატები, როგორიც არის ამხ. ლიუსკოვა ვოლოგდის ოლქიდან, ამხ. გაიჟაუსკასი ლატვის სს რესპუბლიკიდან, ამხ. ფრიდრიხსონი ლატვიის სს რესპუბლიკიდან და ათობით სხვა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშაკი.

განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იბრძვიან ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქციის მაღალი გამოსავლიანობისათვის. უკვე დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობებში წარმატებებს აფასებენ არა მარტო პირუტყვის სულადობის რაოდენობის მიხედვით, არამედ აგრეთვე ისეთი უმთავრესი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის პროდუქტების წარმოება ას ჰექტარ სახნავზე, მდელოსა და საძოვარზე.

წარმატებათა შეფასებისადმი ასეთი მიდგომა ერთადერთი სწორი და მეცნიერულად დასაბუთებულია. ჩვენს ქვეყანაში ყოველ კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით აქვს გადაცემული მიწა. ყოველი კოლმეურნეობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საშუალებით სარგებლობს სახელმწიფო ტექნიკით. მაშასადამე, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ობიექტური პირობები ერთნაირი აქვს. ამიტომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შეიძლება და კიდევაც უნდა მოვთხოვოთ პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდა ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

ამ გზაზე მოწინავე მეურნეობებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. საბჭოთა მეურნეობა „ლენინი პოლიანის", რომლის გამოცდილების შესახებ მოთხრობილია „პრავდაში", ას ჰექტარ სახნავზე, მდელოსა და საძოვარზე ჰყავს 30 ძროხა და 1953 წელს მიიღო 1.303 ცენტნერი რძე, არხანგელსკის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნს" ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ჰყავს 17 ძროხა და მიიღო თითქმის 800 ცენტნერი რძე.

რამ უზრუნველყო გამოფენის მონაწილეთა ესოდენ დიდი წარმატებანი? უწინარეს ყოვლისა დაუცხრომელმა ზრუნვამ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. იმავე საბჭოთა მეურნეობა „ლენინი პოლიანიში" 1953 წელს თვითეული ძროხისათვის დამზადებულ იქნა ას ცენტნერზე მეტი წვნიანი საკვები. კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბერში", სადაც საშუალო წველადობა 5 ათას კილოგრამს აღემატება, თვითეულ ძროხას წელიწადში აძლევენ მარტო კარტოფილს 4,5-5 ტონას.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ბევრი ასეთი მაგალითი. წარმოებაში გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების დანერგვისათვის ბრძოლა ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ბრძოლას საკვების დაგროვებისათვის მეცხოველეობის სრული მოთხოვნილების ოდენობით. დაე თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, თვითეულმა მტს-მა და რაიონმა დღეს დააყენონ კითხვა: ყველაფერია თუ არა გაკეთებული საკვების დასამზადებლად? სამწუხაროდ, ყველაფერი როდია გაკეთებული. მთელი რიგი რაიონები ჩამორჩებიან საკვების დამზადებაში, რითაც საფრთხეს უქმნიან მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებას.

მაგალითისათვის ავიღოთ იაროსლავლის ოლქი. მას მეცხოველეობის გაძღოლის ძალიან კარგი ნიმუშები აქვს. გამოფენაზე თავის მიღწევებს უჩვენებს კოლმეურნეობა „გორშიხა", რომელმაც პირუტყვის მაღალპროდუქტიულობას მიაღწია. მაგრამ ამასთან ერთად ოლქში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც მეცხოველეობა უყურადღებოდ არის მიტოვებული, სადაც წლითიწლობით აკლიათ საკვები. გაკეთეს თუ არა აქედან სათანადო დასკვნები? არა, არ გაუკეთებიათ. წელსაც ოლქი ხერიოზულად ჩამორჩება საკვების დამზადებაში. სილოსი ჩადებულია გეგმის მხოლოდ 30 პროცენტი, უხეში საკვები დამზადებულია შარშანდელზე რამდენიმე ათეული ათასი ტონით ნაკლები. იგივე უნდა ითქვას პსკოვის ოლქზეც, სადაც შარშანდელზე ბევრად ნაკლები უხეში საკვებია დამზადებული, სილოსის ჩადების გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 57 პროცენტით. მკვეთრად ჩამორჩებიან გორკისა და ივანოვოს ოლქები. რომლებმაც სილოსის დამზადების დავალება 28-29 პროცენტით შეასრულეს. დასახელებულ ოლქებში ცოტას როდი ლაპარაკობენ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდაზე. მაგრამ ამ პროპაგანდას, სამწუხაროდ, ფორმალური ხასიათი აქვს. იგი არ არის დაკავშირებული ისეთი გადაუდებელი ამოცანის გადაჭრასთან, როგორიც არის პირუტყვის უზრუნველყოფა საკვებით.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება გვასწავლის, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების განმტკიცება კვალიფიციური კადრებით. მოწინავე მეურნეობებში, როგორც წესი, მწველავები, მეღორეები, მეფრინველეები მუშაობენ ხუთ-ათ და მეტ წელს. ისინი კარგად დაეუფლნენ მინდობილ საქმეს, შეუყვარდათ თავისი სამუშაო და მთელ ძალებსა და ცოდნას ახმარენ მას. ბევრ კოლმეურნეობაში შემუშავებული და განხორციელებულია მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების ღონისძიებათა სისტემა. ამან გამოიწვია მეცხოველეობაში მტკიცე კადრების შექმნა.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითისამებრ მეცხოველეობაში სამუშაოდ დაიწიოაროს შრომისმოყვარე, თავისი საქმის მოყვარული კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომ მათ შეუქმნან ნაყოფიერი შრომის პირობები.

ყველა, ვინც ეცნობა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებას, უფრადღებას აქცევს იმას, რომ მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა წარმოებს მეცხოველეობის საგზგომების მშენებლობისა და ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. ეს სავსებით გასაგებია. კარგი სადგომების უქონლად ძნელია პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის იმედი იქონიო. აქედან გამომდინარეობს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა—გამოფენის მონაწილეთა მაგალითისამებრ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნამდვილად მოჰკიდონ ხელი ზამთრისათვის მეცხოველეობის სადგომების მომზადებას.

მეცხოველეობის დარგში ყოველი კოლმეურნეობის წარმატებანი განუყოფლად დაკავშირებულია მტს-ების მუშაობასთან. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი მაგალითი, მტს-ების მოფიქრებული, მიზანდასახული საქმიანობისა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა. ვინიცის ოლქის სტრიჟეკის მტს-ი და მოსკოვის ოლქის რამენსკოეს მტს-ი წარმატებით ახორციელებენ საკვების დამზადების მექანიზაციას, ეხმარებიან კოლმეურნეებს მექანიზებული ფერმების მოწყობაში. ამ მტს-ების აქტიური დახმარებით კოლმეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში. მაგრამ საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მტს-ები, რომლებიც თითქმის არაფერს არ აკეთებენ მეცხოველეობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოეღოს ბევრი მტს-ის უდარდელ დამოკიდებულებას მეცხოველეობისადმი და შეიმუშავა მეცხოველეობის განვითარებაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი. გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ მტს-ებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა მთა წინაშე დასახული ამოცანის შესასრულებლად.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ათეულ ათასობით მეცხოველემ. მათმა უმდიდრესმა გამოცდილებამ გამოაფინა მეცხოველეობის აღმავლობის ახალი უდიდესი რეზერვები. ამ გამოცდილების შესწავლა და უნარიანად გამოყენება, მისი გავრცელება ათასობით კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და საბჭოთა მეურნეობაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საარსებო ამოცანაა.

ამაში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას. გაზეთების მოვალეობაა ღრმად, საქმის ცოდნით გააშუქონ გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება. ავტორებად უნდა მოვიზიდოთ გამოფენის მონაწილეები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, რომლებიც დაგვეხმარებიან მეცხოველეობის ოსტატთა მდიდარი გამოცდილების განზოგადებაში. გამოფენაზე უკვე იყო სოფლის ათასობით მშრომელი. გაზეთების მოვალეობაა ჩაბან ეს ადამიანები გამოფენის მონაწილეთა მიღწევების პროპაგანდაში.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა და ყოველდღიური ბრძოლა წარმოებაში მისი დანერგვისათვის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

„პრავდის" 25-VIII მოწინავე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
ა. ჯოჯუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ძვლიშვილი

ქ. თბილისი.
1954 წ. 24 აგვისტო.

კადრები აზოტ-ტუკის ქარხნისათვის

რუსთავი, 23 აგვისტო. (საქდესი). რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხანა უკვე იწყებს მუშაობას. იგი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წარმოების ნარჩენებისა და აგრეთვე უშუალოდ ამიაკისაგან სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის გამოიმუშავებს აზოტ-ტუკის მინერალურ სასუქებს.

რუსთავის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ახალი დიდი საწარმოს კადრების დაკომპლექტებაში.

საქართველოს ალკ რუსთავის საქალაქო კომიტეტში უკვე შემოვიდა ახალგაზრდობის 300-ზე მეტი განცხადება თხოვნით — სამუშაოდ გაგზავნონ ქარხანაში. რუსთავის 200 კომკავშირელი საწარმოო სწავლის გასავლელად იგზავნება ჩვენი ქვეყნის ქიმიურ საწარმოებში.

30 ვაგონი კონსერვი

გორი. (საკ. კორ.). საქკონსერვტრესტის გორის საკონსერვო ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის კონსერვების გაგზავნა ჩვენი სამშობლოს სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში. სულ ივლისში და აგვისტოს განვლილ ოც დღეში გაგზავნილია 30 ვაგონი კონსერვები.

მარტო მოსკოვში გაგზავნილია 4 და ლენინგრადში 2 ვაგონი კონსერვი. ახალი მოსავლის კონსერვები გაიგზავნა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მტს-ის კეთილმოწყობა

ხაშური. („კომუნისტის" კორ.). მიმდინარე წელს დიდი სამუშაოები წარმოებს ხაშურის მტს-ის კეთილმოსაწყობად. უკვე დამთავრდა ორი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, შენდება კიდევ ორი ასეთი სახლი. აიგო ტრაქტორების და მისაბმელი იარაღ-მანქანების ფარდული, გაკეთდა ორი ბეტონის ხანძარსაწინააღმდეგო აუზი, მდინარე სურამულაზე ამოყვანილ იქნა წყალდიდობის საწინააღმდეგო საყრდენი კედელი.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მტს-ის ახალი ტიპის სახელოსნოს, კანტორის, ავტოგარაჟის და კომბაინების ფარდულის მშენებლობა, წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანა, მისასვლელი გზების კეთილმოწყობა.

ტრაქტორისტთა სოციალისტური შეჯიბრება

ახალქალაქის მტს-ში

მე-10 სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი, რომელსაც ა. ელექჩიანი ხელმძღვანელობს, სოფელ დილისკას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობას უწევს მომსახურეობას. მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს საშემოდგომოდ მოხნან გეგმაზე 100 ჰექტარით მეტი ფართობი და 150 ჰექტარით გადააჭარბონ თესვისწინა დამუშავების დავალებას. პირობა წარმატებით სრულდება. საშემოდგომოდ მოხნულია 150 ჰექტარი, თესვისწინა დამუშავება ჩატარებულია 100 ჰექტარით იმაზე მეტ ფართობზე, რასაც გეგმა ითვალისწინებს.

ამ ბრიგადის ტრაქტორისტებიდან ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ ნ. ნახაპეტიანსა და მ. პოგოიანს. პირველი მათგანი სატრაქტორო სამუშაოთა დღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებს. აღსანიშნავია, რომ იგი ღამისით მოსავლის აღებაზე მუშაობს, ხოლო ღამით — ხვნაზე.

ულიანოვკის მტს-ში

ი. ბაიდოშვილის სატრაქტორო ბრიგადას მრავალჯერ გამოუცხადა თავი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში. იგივე გამეორდა ახლაც — საშემოდგომო თესვისწინა სამუშაოთა პერიოდშიც. ბრიგადის მექანიზატორებმა 5 აგვისტოდან 20 აგვისტომდე საშემოდგომოდ და მზრალად მოხნეს 490 ჰექტარი, რითაც დავალება 109 პროცენტით გაანაღდეს. დაზოგილია 2.500 კილოგრამი საწვავი. აგვისტოს მეორე დეკადაში ბრიგადას საუკეთესო შედეგებისათვის მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა.

მექანიზატორები სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის" წევრებს დაეხმარნენ სათესლე მასალის მომზადებაში. თესვისათვის საჭირო მთელი თესლი სრულ კონდიციამდეა აყვანილი. გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ნიადაგის თესვისწინა დამუშავება. თესვას აქ 10-15 სექტემბრიდან დაიწყებენ.

ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტი შ. ბაინდურაშვილი „დტ-54" მარკის ტრაქტორით ყოველდღიურად 10 ჰექტარის ნაცვლად 15-16 ჰექტარს ხნავს.

დაიწყო თამბაქოს ახალი მოსავლის ჩაბარება

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის ახალი მოსავლის ხმელი თამბაქოს ჩაბარება.

21 აგვისტოსათვის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 19.300 კილოგრამი თამბაქოს ნედლეული. აქედან ქედის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაბარეს 11.500 კილოგრამი, ბათუმისა — 6.100 კილოგრამი, ხოლო ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 1.700 კილოგრამი თამბაქო.

მალე კოლმეურნეობები თამბაქოს ნედლეულის მასობრივად ჩაბარებას შეუდგებიან.

ეშელონები საქართველოდან ყაზახეთისაკენ გავიდნენ

კომბაინებით დატვირთული ეშელონი სადგურ ნავთლუღში ჩამოდგა. მზით გარუჯულ მექანიზატორები მხიარულად წამოიშალნენ პლატფორმებიდან და ეშელონის გასვლის მოლოდინში საუბარი გაბეს.

ეს იყო კომბაინებით დატვირთული პირველი ეშელონი იმ შვიდი ეშელონიდან, რომლებიც ახლა საქართველოდან ყაზახეთში იგზავნება ყამირ მიწებზე მოყვანილი მარცვლეულის პირველი მოსავლის აღებაში მონაწილეობის მისაღებად.

კომბაინებს ამშვენებს წითელ არშიაზე დაწერილი ლოზუნგები: „ავიღოთ თვითეული კომბაინით 500 ჰექტარი პური 25 კალენდარულ დღეში!", „ძმური სალამი ყაზახეთის სსრ მექანიზატორებს!".

აღმოსავლეთ საქართველოს რომელი კუთხის კომბაინერები არ არიან აქ! მოსულან ყველაზე საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, ისინი, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს შშობლიურ მიწაზე კომბაინებით მოსავლის აღების ვალდებულებანი და ახლა ინტერესით ელიან ახალ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის დაწყებას.

აი გურჯაანის მტს-ის სახელგანთქმული კომბაინერი ი. ბელიანინი, რომელმაც გულუხვ მიწებზე წელს 405 ჰექტარი პური აიღო და 828 ტონა მარცვლეული გალეწა. იგივე მალავს ყაზახეთში გამგზავრებით გამოწვეულ სიხარულს: — პირობას ვიძლევი 25 კალენდარულ დღეში 520 ჰექტარი მოსავალი ავიღე.

მოღიმარი სახით გვიანერდება კასპის რაიონის თეძამის მტს-ის მექანიზატორი ს. ზარიძე. — გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გადასცეთ საქართველოს მშრომელებს, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან გაგზავნილთა შორის პირველობას არავის დავუთმობ, 25 კალენდარულ დღეში 550 ჰექტარ მოსავალს ავიღებ. ეს იმდენივეა, რამდენიც წელს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა მინდვრებზე ავიღე.

— თითქოს გუშინ იყო, — ამბობს მარნეულის მტს-ის კომბაინერი ა. კლიუნნიკი, — რომ კკითხულობდით პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ღონისძიებათა შესახებ. და დღეს იქ უკვე უხვი მოსავლის ასაღებად მივდივართ. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას სასწაულების მოხდენა შეუძლია. პირობას ვიძლევი იქაც ერთ-ერთი პირველი ვიყო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ყაზახეთის ყამირ მიწებზე პირველი მოსავლის ასაღებად გუშინ და გუშინწინ სადგურ ნავთლუღიდან კომბაინებით დატვირთული შვიდი ეშელონი გავიდა. ბოლოს რამდენიმე დღე, და საქართველოდან ყაზახეთს გაგზავნილი 150 მძლავრი „სტალინეც-6" მარკის კომბაინი შეცურდება ყამირ მიწებზე მოყვანილი ბარაქიანი პურის ზღვაში. 150 კომბაინერმა და 6 ინჟინერ-მექანიზატორმა გამოთქვა აღმოსავლეთში მოსავლის აღებაზე გამგზავრების სურვილი. ყველა მათგანს ოდაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებს ასეთი დიდი ამოცანა არასოდეს არ ჰქონიათ, ყაზახეთში ისინი იმუშავებენ მიმდინარე წლის მოსავლის აღების დამთავრებამდე.

საქართველოს მექანიზატორები მარტონი როდი იქნებიან ყაზახეთში. ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონებიდან, სადაც მოსავლის აღება უკვე დამთავრდა, ციმბირისა და ყაზახეთისაკენ დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან კომბაინებითა და ავტომანქანებით დატვირთული სარკინიგზო ეშელონები.

ეშელონები საქართველოდან გავიდნენ...
კეთილი იყოს მათი გამგზავრება!

მეშახტეები შეძლებულად ცხოვრობენ

დღითიდღე უმჯობესდება, შეძლებული და საამური ხდება ტყიბულელ მეშახტეთა ცხოვრება. მაღალმა გამომუშავებამ და შრომის პირობების გაუმჯობესებამ შეძლებული ცხოვრების გზაზე დააყენა ასობით მეშახტე. მრავალმა მათგანმა აიშენა საკუთარი სახლი, მოაწყო კარმიდამო. შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, პიანინო, რადიომიმღები და სხვ.

რამდენიმე ათეული წელია ქვანახშირის ამოღების საქმეს ემსახურება ვლ. ქარქაშაძე. იგი ყოველთვიურად მაღალ ხელფასს იღებს. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ვლ. ქარქაშაძემ აიშენა სახლი, შეიძინა ძვირფასი ავეჯი.

სამთო ინჟინერმა ბ. ჯალალიანამ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „პობედა". საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი" აქვთ მეშახტეებს ლ. ბებიას, შ. გოჩელაშვილს და სხვ.

ა. ვარდოსანიძე ერთ-ერთი საუკეთესო მნგრეველი ლენინის სახელობის შახტაში. ამ მოწინავე მეშახტის საშუალო თვიური გამომუშავება 3-4 ათას მანეთამდე აღწევს. იგი სტახანოვური შრომით მონაგარი ფულით აშენებს სახლს.

შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ აგრეთვე მოლოტოვის სახელობის შახტის სტახანოველები გ. დაღუნდარიძე, ვ. სულაძე, ნ. ტუკვაძე, დ. სუქნიძე, ზენინკალი ი. ქათამაძე, მებიგე მ. ნიშნიანიძე და სხვ. (საკ. კორ.).

მოძრავი გამოფენა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქ. ცხაკაიას ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის შენობაში ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისადმი მიძღვნილი მოძრავი გამოფენა.

გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია ზუგდიდის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორიისა და აბაშის რაიონების სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები — მეჩაიეობა. მეცხოველეობა, მინდვრის ერთწლიანი კულტურები, მევენახეობა და სხვ. გამოფენილი მასალები, სურათები, დიაგრამები ცხადყოფენ იმ წარმატებებს, რომლებიც ამ რაიონების მშრომელებმა მოიპოვეს სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ, პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვისა და დახმარების შედეგად.

მოძრავი გამოფენა ინტერესით დათვალიერეს ცხაკაიას, აგრეთვე მეზობელი რაიონების მშრომელებმა.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გამოფენას აჩვენებს სხვა რაიონებშიც.

კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის სახსრებით

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). სოფელ კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი ყოველწლიურად იზრდება. მარტო 1953 წელს კოლმეურნეობამ მილიონნახევარზე მეტი მანეთი შემოსავალი მიიღო და განუყოფელ ფონდში ჩქინდა ათიათასობით მანეთი. ამ სახსრებით კოლმეურნეობაში აშენდა ტიპური საძროხე, ავადმყოფი ქარხანა, სასილოსე კოშკი და სხვ.

ამას წინათ აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობის კანტორა. კოლმეურნეობამ შეიძინა ავეჯი, გაიყვანა რადიო. კოლმეურნეობის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი წიგნებით.

წელის ბოლომდე საკოლმეურნეო მშენებლობისათვის კიდევ 250.000-ზე მეტი მანეთი დახარჯება.

საკოლმეურნეო კლუბი

თეთრი წყაროო. (საკ. კორ.). სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მდინარე ალგეთის თვალწარმტაცე ხეობაში მდებარე სოფელ არხოტის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ახლახან აშენდა და კოლმეურნეობას გადაეცა ორსართულიანი შენობა, რომლის მეორე სართულში მოთავსებულია კარგად მოწყობილი საკოლმეურნეო კლუბი 250 კაცისათვის. აქვეა კოლმეურნეობის კანტორა. კლუბის მშენებლობა 52 ათასი მანეთი დაჯდა.



სურათზე: რკინიგზის ნავთლუღის სადგურზე კომბაინებით დატვირთული პირველი ეშელონი. (მარჯვნივ) რკინიგზის ნავთლუღის სადგურის უფროსის მოადგილე ტ. ბეჭაია ესაუბრება კომბაინერებს ეშელონის გამგზავრების წინ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა შეასრულა რვა თვის გეგმა

ტყიბული. (საკ. კორ.). 22 აგვისტოს, ვადაზე 9 დღით ადრე ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 100,4 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმა. ამასთან ტყიბულელმა მეშახტეებმა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირეს 1 მანეთითა და 57 კაპიკით, რითაც საგრძნობი თანხა დააგროვეს.

ტყიბულელმა მეშახტეებმა იკისრეს თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი.

ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა შესანიშნავი გამოცდილება

შეუპოვრად ვიბრძოლოთ მეცხოველეობის პროდუქციულობის მკვეთრად ამაღლებისთვის

★ ★

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა, ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ მეცხოველეთა ნაამბობს, რომლებშიც ისინი თავიანთ ძვირფას გამოცდილებას უზიარებენ საქართველოს მშრომელებს, აგრეთვე საქართველოდან მოსკოვში ნამყოფ ექსკურსანტთა წერილებს იმის შესახებ, თუ რა ახალი, სასარგებლო ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს მათ მოსკოვში და როგორ ფიქრობენ ყოველივე ამ მოწინავის, პროგრესულის დანერგვას თავიანთ კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში.



მიმდინარე წელს მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს ფერმის მექანიზაციის სამუშაოები. **სურათზე:** კოლმეურნეობის ახალი ფერმის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

28 გოჭი დედაღორზე

წარჩინებული კოლმეურნის ა. ლიუსკოვას ნაამბობი

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა მიმართა წარჩინებულ მეღორეს ალექსანდრა ევგენის ასულ ლიუსკოვას თხოვნით გააცნოს საქართველოს მეღორეებს თავისი მუშაობის გამოცდილება.

ამხ. ლიუსკოვამ განაცხადა, რომ 23 წელია მუშაობს მეღორედ ვოლოგდის ოლქის მეჟდურეჩიეს რაიონის კოლმეურნეობა „ბუდიონოვეცში“. 1941 წლიდან განაგებს მეღორეობის ფერმას, მაგრამ ამავე დროს მეღორედაც მუშაობს.

— ჩემი მუშაობის მანძილზე, — ამბობს ამხ. ლიუსკოვა, — გავზარდე 11.512 გოჭი. უკვე 10 წელია მივაღწიე იმას, რომ თვითეულ ღორზე ორი დაგოჭიანებისას ვიღებ საშუალოდ 28 გოჭს.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, თავისთავად როდი მოსულა. უკვე 10 წელია თვითეულ დედაღორზე წელიწადში კოლმეურნეობას ვაძლევ 10.000 მანეთი შემოსავალს. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიყვანე ჩვენი მსხვილი თეთრი ჯიშის 5 ღორი; მათ შორის 4 დედაღორია. აქ გამოფენაზე მინდა ისინი შევაჯვარო უფრო კარგი ჯიშის ტახებთან.

თავის დროზე აღებული მქონდა ვალდებულება წელიწადში თვითეულ დედაღორზე ერთი ტონა ნამატი მომეღო. პირველად ასეთი ნამატი მივიღე 8 თვის განმავლობაში ნაცვლად ერთი წლისა. მაშინ მივხვდი, რომ შეიძლება მეტის მიღებაც. შემდეგ ავიღე ვალდებულება 7 თვეში მიმეღო ტონა, ხოლო სინამდვილეში მივიღე 6 თვეში. მაინც არ ვისვენებდი, და ბოლოს მივაღწიე ტონის მიღებას 4 თვესა და 4 დღეში.

ჩვენში სუსხიანი ზამთარი იცის. ზაფხული კი ხანმოკლეა. ამიტომ საჭიროა საღორეების გათბობა. სიცივის მიუხედავად, ღორები ზამთარშიც გაგვყავდა სასეირნოდ. ანგარიში უნდა გავუწიოთ ადგილობრივ პირობებს. ზოგჯერ გოჭებს ანადუღარ წყალს ვასმევთ მე-3 დღიდან, ხოლო საშუალოდ მე-5 დღიდან. წყალი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურისა. დამატებითს კვებას ვიწყებთ ერთი კვირის შემდეგ ძროხის რძით, ვაძლევთ ჯერ ცოტას — 50 გრამს, ხოლო 10-15 დღის შემდეგ გოჭებს ვაჩვევთ სხვადასხვა ფაფას, მინერალებს, ვიტამინებს, სამყურის თივას.

ორ თვემდე გოჭებს არ ვაბანავებთ, მხოლოდ ვწმენდთ. ოთახის ტემპერატურას ვიცავთ საშუალოდ 10-12 გრადუსის ფარგლებში (ზამთარში). სასეირნოდ გაგვყავს ყოველთვის, გარდა ძლიერ ქარიანი და თოვლიანი დღეებისა. ზამთრობით ღორები სეირნობენ 2 საათის განმავლობაში, ხოლო ზაფხულში საძოვრებზე არიან 12 საათს. გოჭები ზამთარში გაგვყავს მცირე ხნით, ზაფხულში კი 12-13 საათს სძოვენ.

სწორ მოვლასა და კვებასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს დღის განრიგებას, ბინის სისუფთავეს. ჩვენს საღორეებს 100 მეტრი სიგრძე და 9 მეტრი სიგანე აქვს. ფერმა მექანიზებულია, უზრუნველყოფილია კარგი წყლით, ელექტროშუქით. გვაქვს ბოლქვსაჭრელი, კარტოფილის საქყლეტი, კარტოფილის სარეცხი მანქანები.

როგორ გავადიდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა

საუბარი არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნის“ ზოოტექნიკოს პ. ფომინასთან.

ამხ. პ. ფომინა გამოფენაზე ჩამოვიდა ხოლმოგორის ჯიშის ძროხების თაკისი ჯოგით. მის კოლმეურნეობაში ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოზე და საძოვარზე მოდის 17 ძროხა, რომელთაგან თვითეული საშუალოდ იწველის 4.615 კილოგრამ რძეს. 1953 წელს კოლმეურნეობამ სახნავის, მდელოსა და საძოვრის თვითეულ 100 ჰექტარზე მიიღო 762 ცენტნერი რძე.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა ამხ. ფომინას გაუზიაროს საქართველოს მეცხოველეებს თავისი გამოცდილება მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ზოოტექნიკოსმა პ. ფომინამ განაცხადა შემდეგი:

— კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნ“ 1939 წელსაც იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. მონაწილე ვიყავი მეც, როგორც ამ კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი. მას შემდეგ ჩვენ საკმაოდ გავუმჯობესეთ პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. თუ 1939 წელს ჩვენი ჯოგის 65 პროცენტი იძლეოდა 4.000 კილოგრამამდე რძეს, ამჟამად ძროხების 23 პროცენტი იძლევა 4.000-მდე კილოგრამ რძეს, 43 პროცენტი — 4-დან 5 ათასამდე კილოგრამს და 31 პროცენტი — 5-დან 6 ათასამდე კილოგრამს. გადიდდა ძროხების ცოცხალი წონაც. თუ 1938 წელს იგი შეადგენდა 399 კილოგრამს, ამჟამად იგი უკვე აღწევს 571 კილოგრამს.

ფერმაში მივაღწიეთ ძროხების თანაბარ დახმობიანებას მთელი წლის განმავლობაში. ამან შესაძლებლობა მოგვცა რძის თითქმის ერთნაირი რაოდენობა მივიღოთ ზამთარ-ზაფხულ. უკვე 1952 წელს ზაფხულში თვითეულ ძროხაზე მივიღეთ დღეში 13,3 კილოგრამი რძე, ხოლო ზამთარში — 13 კილოგრამი.

ფერმის წარმატებათა ერთ-ერთ „საიდუმლოებას“ წარმოადგენს შემდეგი: მერძეული პირუტყვის გაზრდის დროს პირველ რიგში ვიბრძვით იმისათვის, რომ მივიღოთ მაღალპროდუქტიული, ჯანსაღი ცხოველები, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული გული, ფილტვები და საჰმლის მომნელებელი ორგანონები. ამას ვაღწევთ ხბოების ცივი გაზრდის მეთოდით. ხბოების გაზრდის დროს, მათ ვაჩვევთ სხვადასხვა საკვების ჭამას. ამის შედეგად, მაგალითად, დეკეულ „ვეჩერნაიას“ საშუალო სადღეღამისო მატება 900 გრამს შეადგენს.

6 თვიდან წლამდე დეკეულებს შევაჭმევთ 800 კილოგრამ თივას, 154 კილოგრამ კარტოფილს, 700 კილოგრამ სილოსს, 205 კილოგრამ კონცენტრატებს, 500 კილოგრამ მწვანე საკვებს.

1941 წლიდან შემოვიღეთ ხბოების საზაფხულო ბანაკური მეცხოველეობა. შემოვიღოთ მათ 5-6 ჰექტრიდან, რომელთაგან თვითეულის ფართობია 1-1½ ჰექტარი, და რიგრიგობით ვაძოვებთ იქ. ხბოებს ბინებში შევრეკავთ ხოლმე მხოლოდ ცუდ ამინდში. შემოდგომაზე ვაძოვებთ აქვიტზე. წყალი და საკვები უშუალოდ საძოვრებზე მიგვაქვს. დეკეულების დაგრილება ჩვენთან წარმოებს, როცა ისინი მიაღწევენ 400-450 კილოგრამ წონას 18-22 თვის ასაკში. ცურის უკეთ განვითარების მიზნით იწყება მისი მასაჟი ხბოს მოგვიანებამდე 1½-2 თვით ადრე. დიდი ყურადღება ექცევა პირველ ხბოიანებს, რომლებსაც საკვების ნორმას ვუმატებთ წველადობის გადიდებისა და ზრდაში მატებისათვის.

ლაქტაციის პირველსავე თვეში პირველად დახბოიანებულ დეკეულ „ციმბელიას“ ჩვენ ვაძლევდით 8 კილოგრამ თივას. 5 კილოგრამ სილოსს, 17 კილოგრამ ტურნეპსს, 16 კილოგრამ კარტოფილს, 4 კილოგრამ კოპტონს. მაღალ წველადობას მთელ ჯოგში მივაღწიეთ იმით, რომ ჯოგის ჯიშობრივ გაუმჯობესებასთან ერთად ძირეულად შევცვალეთ ძროხების კვების ტიპი.

უკანასკნელ წლებში ჩვენში გაწეულია დიდი მუშაობა მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად. მოვაწესრიგეთ მათი სწორი გამოყენება. წვნიანი საკვების დამზადება 3-4-ჯერ გაიზარდა.

ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ ძროხამ რაც შეიძლება მეტი საკვები შეჭამოს. ამ მიზნით საკვების მეტ წილს შევამზადებთ ხოლმე — ჩალას ვჭრით და ვაორთქლებთ, ტურნეპსსა და კარტოფილს ვრეცხავთ, ვახდენთ კოპტონის დაორთქლებას.

კოლმეურნეობის წარმატების „საიდუმლობას“ შეადგენს არტელის ყველა წევრის პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა. ფერმაში მრავალი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენი მეცხოველეები თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები გახდნენ.

ამჟამად კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ წელსვე მიაღწიონ მერძეული პირუტყვის უფრო მეტ პროდუქტიულობას. საერთო კრებაზე მათ გადაწყვიტეს ორი-სამი წლის განმავლობაში თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 6.000 კილოგრამამდე.

კოლმეურნეები წარმატებით იბრძვიან ამ მაჩვენებლებისათვის. 10 თვის განმავლობაში თვითეული ძროხისაგან უკვე მივიღეთ 4.082 კილოგრამი რძე — 305 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია მწველამ ე. ვაშუკოვამ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა. მან მოწველილ 4.826 კილოგრამი თვითეულზე 9 ძროხიდან, რომლებსაც იგი უვლის. ჩვენ მოხარული ვართ ვაცნობოთ ქართველ მეგობრებს — მეცხოველეებს, რომ გასულ თვეში მოზარდეულის წონაში მატებამ ჩვენში 920 გრამი შეადგინა.

ჩვენს მუშაობას მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში მაღალი შეფასება მიეცა. ამით აღფრთოვანებულნი ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ. სასოფლო-სამეურნეო წლის დამლევამდე შევასრულებთ ვალდებულებას — თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მივიღოთ 5.000 კილოგრამი რძე.

★ ★ ★

მივცემთ სამშობლოს მეტ პროდუქტებს

გამოფენაზე მემცენარეობისა და მარცვლეული კულტურების ექსპონატებისა და მაჩვენებლების გაცნობის შედეგად ნათელი გახდა, რომ ჩვენც შეგვიძლია მივიღოთ პურის უხვი მოსავალი, ამასთან იმ ჯიშების თესლით, რომლებიც ადგილობრივ გვაქვს, — საშემოდგომო „ახალი უკრაინკას“, „ცეზიუმის“ და „დოლის პურის 35/4“ თესლით. ისინი უკვე გამოცდილია ჩვენს პირობებში, დარაიონებულია. ჩვენმა მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების სახელმწიფო ჯიშთსაცდელმა სადგურმა 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა საშუალოდ 28 ცენტნერი მარცვალი. ამ ნაკვეთზე მიღებულ გამოცდილებას ჩვენ გამოვიყენებთ საკოლმეურნეო მინდვრების სხვა ნაკვეთებზეც.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე კოსტრომის ჯიშის ძროხების სარძეო-სასაქონლო ფერმამ და საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოს“ ძროხებმა. ვფიქრობთ, რომ ასეთი ძროხები კარგად შეეგუებიან ჩვენი კოლმეურნეობის პირობებს, ამიტომ „გადავწყვიტეთ შევიძინოთ ასეთი ძროხები და ხბოები. მესამე კვარტალში ჩვენ მოძმე უკრაინიდან მივიღეთ 50 ჯიშიანი დეკეული მეცხოველეობის ფერმისათვის. ჩვენი, ასურეთის ფერმა ელექტროფიცირებულია, გვაქვს კომპლექსური მექანიზაცია.

წელს მეღორეობაში კარგი შედეგები გვექნება. უკვე გვყავს თვითეულ დედაღორზე 15 გოჭი. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ფერმის მაჩვენებლების მიხედვით მოვიპოვოთ 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

გ. ჯელიძე,

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დიდი პერსპექტივები

იმის შემდეგ, რაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ვინახულეთ, უამრავი ახალი აზრი, გადაწყვეტილება დაგვებადა. ახლა ჩვენთვის სავსებით ცხადია, რომ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი საკოლმეურნეო ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, დავამზადოთ მეტი უხეში და კონცენტრირებული საკვები. ამ მიზნით ჩვენ მოვიმარაგებთ 150 ტონა ქერს, 50 ტონა სიმინდს, 120 ტონა საკვებ ჭარხალს, 30 ტონა კოპტონს, 300-მდე ტონა თივას და 2.500 ტონაზე მეტ უხეშ საკვებს. გარდა ამისა, გადავწყვეტეთ გეგმით გათვალისწინებული 700 ტონის ნაცვლად ჩავდოთ 1.000 ტონა სილოსი.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობას აქვს კარგი სტანდარტული საძროხე. წელს ვფიქრობთ მის მექანიზებას. საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე საჭიროა მოვაწყოთ წყალმომარაგება. მაგრამ ყოველივე ამაში უნდა დაგვეხმაროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

წელს ვვარაუდობთ პირუტყვისათვის მოვაგროვოთ დიდძალი საკვები, მნიშვნელოვნად გავადიდოთ პროდუქტიულობა და მივაღწიოთ იმას, რომ 1955 წელს გავხდეთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი.

ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მემინდვრეებისაგან მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სწორად გატარებას, ხვნისა და თესვის ხარისხს, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ თავთავიანი კულტურების ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა.

ი. დალაქიშვილი,

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

აგრონომის ჩანაწერები

დუშეთის მტს-ის აგრონომი ნინო დარეჯანაშვილი, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იმყოფება მოსკოვში, დიდი ყურადღებით ათვალიერებს მრავალრიცხოვან ექსპონატებს. მაგრამ დათვალიერებაც არის და დათვალიერებაც. ნინომ იცის, რომ ყველაფრის დამახსოვრება არ შეიძლება, ამიტომ მოსკოვში ჩამოვიდა თუ არა, კარგა მოზრდილი რვეული შეიძინა, რაშიც წერს ყველაფერს, რაც კი საგულისხმო და საინტერესოა.

აგრონომის ჩანაწერებში არა მარტო მიღწეულ წარმატებებზე იპოვნით საჭირო ცნობებს, არამედ იმ მეთოდებსა და საშუალებებზეც, რითაც წარმატებაა მოპოვებული.

...ვნახეთ, — წერს აგრონომი, — აკადემიკოს ნ. ციცინისა და მისი თანამშრომლების მიერ გამოყვანილი ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდული ჯიშის ნაკვეთი. სამოცდაათი ცენტნერი იქნება ამ ხორბლის მოსავალი ჰექტარზე. როცა მარცვლით გატენილ, შეყვითლებულ თავთავს ვეალერსებოდი, მომაგონდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ვილიამსი. — საბჭოების ქვეყანას, — ამბობდა იგი, — მსოფლიოში არნახული მოსავლის მიღების უნარი აქვს, და მე მწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჰექტარზე 100 ცენტნერი იქნება საშუალო მოსავალი ჩემს საშობლოში...

ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდული ჯიში მეტად მაღალმოსავლიანი ჯიშია. მას აქვს ძვირფასი თვისება — არ წვება ქარისა და წვიმების დროს.

...საუკუნეთა მანძილზე პირუტყვს ჩალითა და ნამჯით კვებავდნენ. რა თქმა უნდა, მას საკმარისი სინოყივრე არა აქვს, ამიტომ დაერქვა უხეში საკვები. გამოფენაზე სიამოვნებით შევიტყეთ, რომ თურმე შესაძლებელია ჩალისა და ნამჯის უყათიანობის ორჯერ და ორნახევარჯერ გაზრდა.

აკადემიკოს ს. პეროვს შეუმუშავებია მარილებითა და ნაკარ-წმენდილის ხსნარით ნამჯისა და ჩალის დამუშავების მეთოდი. უკრაინაში ასეთივე ცდები ჩაუტარებია ი. ზახარჩენკოს. საკვების დამუშავების ეს ახალი ხერხი დიდად ზრდის ყუათიანობას და მას დიდი მომავალი აქვს.

პროფესორ ა. ზუბრილინს შეუქმნია ცილოვან-ვიტამინური ნარევი (паста), რომელშიც თავმოყრილია მწვანე საკვების ყველაზე მეტად ძვირფასი, ფიზიოლოგიურად აქტიური და სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტები. ეს ზალახეულის თავისებური ნაღებია, რომლის 1 კილოგრამი უთანაბრდება 6-8 კილოგრამ მწვანე ზალახს ყვავილობის ხანაში. ამ ნარევის გამოყენებას დიდი პერსპექტივა აქვს. მალე დადგება დრო, როცა ასეთ ნარევს უშუალოდ კოლმეურნეობებში დაამზადებენ.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია საკვები ბაზის განმტკიცებაში სიმინდის კულტურას. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარი სიმინდი იძლევა 700-800 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის სასილოსე მასას. სიმინდის ღეროების სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს. ამ ძვირფასი საკვები კულტურის გაფართოებისათვის მეტი უნდა ვიმუშაოთ...

ბელორუსიის პავილიონში, სხვა ექსპონატებთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტენდმა, რომელიც მოგილოვის ოლქის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას ასახავს, ყველას მოეწონა მეღორეთა შრომის სასახელო შედეგი. 1953 წელს ამ კოლმეურნეობას ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე ჰყავდა 46 ღორი. მეღორეობით მიღებულმა საერთო ფულადმა შემოსავალმა შარშან 1.463.400 მანეთი შეადგინა, ხოლო თვითეულ დედაღორზე — 11.800 მანეთი.

ეს მიღწეულია ღორების საუკეთესო მოვლა-პატრონობით. გასუქების პერიოდში თვითეულ ღორს დღეში აჭმევენ 7 კილოგრამ კარტოფილს, ერთნახევარ კილოგრამ სილოსს, 2 კილოგრამ ქერს, მეოთხედ კილოგრამ კოპტონს, 25 გრამ სუფრის მარილს.

კოლმეურნეობაში არის ოთხმწკრივანი, აგურით ნაშენი საღორე. მას აქვს წყალსადენი, ორთქლის გათბობა, ვიწროლინდაგიანი რკინიგზა. საკვების შემზადების ყველა პროცესი მექანიზებულია, სამზარეულოში დგას ორი დამაორთქლებელი, კარტოფილის საქყლეტი, საკვების შემზავებელი. ყველა მექანიზმი ელექტროდენით მუშაობს. შენობაში საკვები პატარა ვაგონებით შეაქვთ.

— ამის გაკეთება ჩვენც ხომ შეგვიძლია, — თქვა ოძისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თედო ვარდუაშვილმა.

ამხანაგები დაეთანხმნენ.

გავეცანით ლიტვის კოლმეურნეობა „სარკანაის ოქტომბრის“ მუშაობას. 1952-53 წლებში აქ თვითეულ დედაღორზე გაზარდეს 17 გოჭი. ფერმაში სულ 549 ღორი ჰყავთ, აქედან 70 დედაღორი.

დიდი წარმატება აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. ფრიდრიხსონს, რომელმაც 10 დედაღორიდან თვითეულზე 25 გოჭი გამოზარდა.

გვაინტერესებდა, როგორ შეძლო ფრიდრიხსონმა ამის მიღწევა. პასუხიც მივიღეთ. თურმე ფერმაში ღორი ბევრ გოჭებს რომ დაყრის, ორ ჯგუფად ჰყოფენ და რიგრიგობით ყოველ საათნახევარში აწოვებენ. 5 დღემდე გოჭებს დამატებით მოუხდელ რძეს აძლევენ, თანდათანობით აჩვევენ კარტოფილსა და სტაფილოს, 10 დღის ასაკიდან ულუფას უმატებენ, ამასთან საკვებში ყოველთვის არის წითელი თიხა და ხის ნახშირი.

ზამთრობით თვითეულ დედაღორს აძლევენ 5 კილოგრამ კარტოფილს, 2 კილოგრამ ჭარხალს, 8-10 კილოგრამ მოხდილ რძეს, 2-3 კილოგრამ სოიის ფქვილსა და კოპტონის ნარევს, 1 კილოგრამამდე თივის ფქვილს, 30 გრამ მარილს და 50 გრამ ცარცს.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე ღორებს გოჭებთან ერთად საძოვარზე ინახავენ, დედაღორს დამატებით აძლევენ 5-6 კილოგრამ მწვანე ბალახს.

მრავალი ჯიშის ღორი ვნახეთ. ექსკურსანტების განცვიფრება გამოიწვია კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ვენცი ზარიას“ ტახმა „სამოუჩკამ“, რომლის ცოცხალი წონა 530 კილოგრამია. ერთმა კოლმეურნემ ეს ტახი სიდიდით კამეჩს შეადარა.

ვიყოფთ პირუტყვის გასასეირნებელ მოედანზე ელიფსისებურ მოედანს, რომელზეც ორი მხრიდან სკამების ნარუსები მისდევს, მანეულ ეძახიან. იგი ძალიან ჰგავს ფეხბურთის სტადიონს.

თეთრხალათიანმა მომვლელებმა სათითაოდ გამოიყვანეს კოსტრომული, ხოლმოგორული და სხვა ჯიშის ლამაზი, დიდტანიანი ძროხები, ერთი-ორჯერ წრეს შემოუარეს და ისევ ბინებში წაიყვანეს, შემდეგ მოედანზე უზარმაზარი ბუღები გაასეირნეს. ასეთი მძლავრი ცხოველის დაკავება ადვილი როდია. ამიტომ ყველა ბუღას ცხვირში ლითონის რგოლი ჰქონდა გაყრილი, რაზეც თოკი იყო გამობმული. შემდეგ ვნახეთ საჯაგვე ჯიშის ცხენი „სატირი“. მას თურმე 15 ტონა და 453 კილოგრამი ტვირთის გადატანა შეუძლია.

დავათვალიერეთ მეცხვარეობის განყოფილება.. ვნახეთ კავკასიური ჯიშის ყოჩი სტავროპოლის მხარის ერთ-ერთი კოლმეურნეობიდან. ამ ცხვრის ცოცხალი წონა 120 კილოგრამს აღემატება, ბატყლის წლიური ნაპარსი კი — 23.2 კილოგრამს. მატყლი აქვს გრძელი, ბამბასავით თეთრი და ბრეშუმივით რბილი. აქ იყო ახალი ქართული ჯიშის ცხვრებიც.

შევედით პირუტყვის სადგომებში. უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. ყველაფერი მექანიზებული და ელექტროფიცირებულია, ძროხებს საუკეთესოდ უვლიან. ვესაუბრე კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „მე-12 ოქტომბრის“ ზოოტექნიკოსს, სტალინური პრემიის ლაურეატს ა. ლიშენკოს.

ძალიან დაგვაინტერესა ფერმებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულმა ძროხების დღის რეჟიმმა, რომელსაც ზუსტად იცავენ. მე ჩავიწერე უკრაინის სსრ ლებედინსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის დღის რეჟიმი ზაფხულის პერიოდისათვის.

დილის 4	საათიდან	5½	საათამდე	ძროხების პირველი წველა
5½	„	10	„	ძოვება და დარწყულება
10	„	11½	„	მეორე წველა
11½	„	12	„	დამატებითი კვება
12	„	15	„	დასვენება
15	„	16½	„	მესამე წველა
16½	„	21	„	ძოვება და დარწყულება
21	„	22	„	მეოთხე წველა და დამატებითი კვება
22	„	4	„	დასვენება

როგორც მომვლელებმა გვითხრეს, ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველდღიურად ძროხებს აძლევენ 40-60 კილოგრამ მწვანე ბალახს, ხოლო მაღალპროდუქტიულ პირუტყვს — 90 კილოგრამამდე. ამასთან ძროხებს ეძლევათ დამატებითი საკვები.

ძალიან მოგვეწონა ძროხები „გულკა“ და „ლასტკა“. თვითეული მათგანი ლაქტაციის პერიოდში 7.300 კილოგრამ რძეს იძლევა.

მეცხოველეობის პავილიონიდან რომ ვბრუნდებოდით, თვითეული ჩვენგანი ნახულის შემდეგ მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა. დიდია მაგალითის ძალა. ეს მე ჩემ თავზე ვიგრძენი. დავბრუნდები თუ არა რაიონში, უფრო მტკიცედ, ენერგიულად მოვკიდებ ხელს საქმეს. რათა ჩვენც გვქონდეს ისეთი ფერმები, ისეთი მოსავალი, როგორიც გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობებს აქვთ.

* * *

აქ წყდება ნინო დარეჯანაშვილის ჩანაწერები. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასათვალიერებელი. მიჩურჩულები ბაღი, მრავალი პავილიონი და უამრავი ექსპონატი დარჩა კიდევ შესასწავლი. გრანდიოზულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ასეთი მასშტაბის გამოფენა მსოფლიოს არ ახსოვს და ბუნებრივია, რომ შორეული საქართველოდან ჩამოსული აგრონომი ცდილობს, რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენოს სახალხო გამოცდილების ამ შესანიშნავ უნივერსიტეტში გატარებული თვითეული საათი, თვითეული წუთი.

ა. თოდაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მოსკოვი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. რსფსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი სტალინური პრემიის ლაურეატი ბრეიტოვის სახელმწიფო ჯიშთსაშენის დირექტორი ვ. მ. ფედორინოვი (მარჯვნივ) და იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობის „ლუჩ კომუნიზმა“ საუკეთესო მეღორე კომკავშირელი ა. კრუგლიაკოვა უჩვენებენ ბრეიტოვის ჯიშის დედალორს „მეჩტას 384“ ფოტო ვ. მასტიუკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

გაჭიანურებული მშენებლობა

საკანალიზაციო მაგისტრალის მშენებლობა ფერხდება, ორთაჭალიესის ამუშავება გვიანდება

განვლილმა ზამთარმა თბილისის საქალაქო მეურნეობის მუშაკებს მკაცრი გაკვეთილი მისცა. მოსალოდნელია, რომ ამ გაკვეთილის შემდეგ წელს თბილისის საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელები უკვე ზომას მიიღებენ იმისათვის, რათა არ გამეორდეს შარშანდელი მდგომარეობა, უკეთესად მომზადებული შეხვდნენ მომავალ ზამთარს, უზრუნველყონ თბილისის მოსახლეობა და დედაქალაქის ინდუსტრიული საწარმოები ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდებით. პარტია და საბჭოთა მთავრობა მათ დიდ დახმარებას უწევენ. ამ დახმარებამ გამოხატულება ჰპოვა თბილისის კომუნალური ჰიდროელექტროსადგურისათვის — ორთაჭალჰესისათვის საჭირო ყველა მოწყობილობის მიწოდებით, სადგურის მშენებლობის დასამთავრებლად თანხების გაღებით, ყველა პირობის შექმნით იმისათვის, რომ ორთაჭალჰესი დროულად აამუშაონ, თბილისს ელექტრობალანსს მისი სიმძლავრე შემატონ.

გარდა ამისა ცნობილია, რომ ელექტროენერგიით თბილისის მომარაგების გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილია საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ელექტროგადამცემი ხაზით დაკავშირება ძომბე აზერბაიჯანის ენერგეტიკულ სისტემასთან თბილისისათვის გარკვეული რაოდენობით მინგეჩაურჰესის ენერგიის მისაწოდებლად.

რა ხდება მტკვრის კალაპოტში

ორთაჭალჰესი ენერგეტიკული მშენებლობის პრაქტიკაში შემოღებული ახალი სქემის მიხედვით არის აგებული. ამ სქემის უპირატესობა ის არის, რომ ასეთი ტიპის ელექტროსადგურს არ სჭირდება სადერივაციო არხი, იგი ამიტომ გავლენას არ ახდენს მდინარის რეჟიმზე, პირიქით, აუმჯობესებს ამ რეჟიმს და იძლევა სადგურის აგების საშუალებას მჭიდროდ დასახლებულ ქალაქის პირობებში. სადერივაციო არხის ნაცვლად ასეთი ტიპის ელექტროსადგურისათვის საჭიროა წყლის მარაგის შექმნა თვით მდინარის კალაპოტში, კაშხალის საშუალებით მდინარის შეგუბებით.

მაშასადამე, ორთაჭალჰესის მშენებლობის დაწყებისთანავე ცნობილი იყო, რომ ქალაქის ფარგლებში მდინარის კალაპოტში საჭირო იქნებოდა წყლის შეგუბება. ეს მრავალჯერ აღინიშნა პრესაში, ეს მშვენივრად იცოდნენ თბილისის საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელებმა.

საკითხი ცხადი იყო ისიც, რომ მდინარეში, ისიც ქალაქის ფარგლებში წყლის შესაგუბებლად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის ჰავის გაუმჯობესებისა და სამდინარო ნაოსნობის მოწყობისათვის, საჭირო იყო სათანადო სამზადისის ჩატარება. ეს მზადყოფნა უნდა გამოხატულიყო საკანალიზაციო ქსელის ისე მოწყობით, რომ მდინარეში წყლის შეგუბებას კანალიზაციის ქსელის მუშაობაზე გავლენა არ მოეხდინა.

ამ მიზნით ჯერ კიდევ შარშან (თუმცა დიდი დაგვიანებით) შეუდგნენ ქალაქის მთავარი საკანალიზაციო მაგისტრალის გაყვანას მდინარის შეგუბების ზონაში სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლების გაყოლებით. უფრო ადრე, როგორც ცნობილია, დაწყებულ იქნა თვით ამ საყრდენი კედლის მშენებლობა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით ზარათაშვილის ხიდიდან ორთაჭალჰესის მიდამომდე.

საყრდენი კედლის მშენებლობა, სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო, დაეკისრა ორ სამშენებლო ორგანიზაციას — თბილისმშენს და თვით ორთაჭალჰესის მშენებლობას. არ შეიძლება ითქვას, რომ მშენებლებმა ამ საქმეს ვერ გაართვეს თავი. მიუხედავად მრავალი სირთულისა, მიუხედავად იმისა, რომ რიყის მიდამოებში საჭირო გახდა მდინარისათვის მიმართულების შეცვლა, დაკისრებული სამუშაოები მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს. ენთუზიაზმით მუშაობდნენ ისინი მტკვრის კალაპოტში, ბეტონის კედლები თვალდათვალ იზრდებოდა.

მაგრამ დარჩა ერთი ადგილი, სადაც მშენებლებს საშუალება არ ჰქონდათ უშუალოდ საკუთარი ძალებით გაეკეთებინათ საქმე, დაემთავრებინათ საყრდენი კედლის აგება. ეს ადგილია მეტეხის ახალი ხიდის მარჯვენა მხარე, სადაც ძველისძველი ყოფილი ქარვასლის დიდი შენობაა აღმართული ბალავრით შიგ მდინარეში. საჭირო იყო ამ შენობის ნაშრომის აღება, მის ნაცვლად სანაპირო ქუჩის სასიარულო ვაკისის შექმნა და შენობაზე ქვემოდან და ზემოდან მიბჯენილი საყრდენი კედლის ნაწილების შეერთება. ეს საქმე დიდად გაჭიანურდა. ამ ადგილზე საყრდენი კედელი ჯერაც არ არის დამთავრებული. უამისოდ კი მდინარეში წყლის შეგუბება, ე. ი. ელექტროსადგურის ამუშავება მიზანშეუწონელია, ვინაიდან მდინარის შეგუბების შემდეგ სამშენებლო სამუშაოთა შესრულება გართულდება.

ამ უბანზე სამუშაოთა შესრულება დაკისრებული აქვს თბილისმშენის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც ინჟინერი ი. ჩხაიძე ხელმძღვანელობს. ამხ. ჩხაიძის განცხადებით, მათ ჯერ საპროექტო დოკუმენტაციაც არა აქვთ მიღებული, თუ როგორ უნდა შეასრულონ ამ მონაკვეთზე მიწისა და კლდის სამუშაოები, როგორი პროფილით შეაერთონ სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლები.

გადათხრილი სანაპირო ქუჩები

უკვე მეორე წელიწადია თბილისელთა საყვარელი სანაპირო ქუჩები სტალინის სახელობის ახალი ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე გადათხრილია და ღრმა ტრანშეების ამოღების შედეგად მიწით არის სავსე. ეს ქუჩები საკანალიზაციო მაგისტრალის მშენებლებმა გადათხარეს, რათა ტრანშეებში საკანალიზაციო მაგისტრალის დიდდიამეტრიანი მილები ჩაეწყოთ. მაგრამ დიდდიამეტრიანი რკინაბეტონის მილები მათ ცოტა მიაღეს. ის საკმარისი არ აღმოჩნდა, და ამიტომ საქმე გაჭიანურდა, ქუჩები გადათხრილი დარჩა.

შეუწყნარებლად გაჭიანურდა ფეკალური და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა. თბილისმშენის მარტო მეხუთე სამშენებლო სამმართველოს იმისათვის, რომ არ შეფერხდეს ორთაჭალჰესის ასამუშავებლად მდინარეში წყლის შეგუბება საპროექტო ნიშნულამდე, წელს ფეკალური და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობის დასამთავრებლად შესასრულებელი აქვს 60.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო, 10.000 კუბური მეტრი ბეტონის სამუშაო. ამავე დროს მშენებლები მომარაგებული არ არიან მიწისსათხრელი მექანიზმებით (ბულდოზერი, ექსკავატორი), არა აქვთ კომპრესორი, არა აქვთ რკინაბეტონის დიდდიამეტრიანი მილები საკოლექტორო ტრანშეაში ჩასაწყობად, ხელი ეშლებათ საშენი მასალების (რკინა, ხე-ტყე) მიუწოდებლობით.

ანალოგიური დაბრკოლებები ელოდებათ თბილისის საგზაო მშენებლობის სამმართველოს და სამშენებლო ორგანიზაცია „ტრანსვოდსტროის“ კოლექტივს, რომლებსაც მინდობილი აქვთ აგრეთვე ცალკე მონაკვეთებზე საკანალიზაციო მაგისტრალის აგება, მის გაყოლებით დრენაჟის მოწყობა და ფეკალური და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდი ახლოვდება. ახლოვდება ის ვადა, როდესაც საჭირო იქნება მტკვრის კალაპოტში წყლის შეგუბება, ორთაჭალჰესის ამუშავება და ქალაქისათვის ამ სადგურის ენერგიის მიწოდება.

საკანალიზაციო მაგისტრალის ასამუშავებლად გამართვამდე, კოლექტორების მშენებლობის დამთავრებამდე მდინარის შეგუბება მიზანშეუწონელი იქნება იმიტომ, რომ მდინარეში წყლის დონის ამაღლება ხელს შეუშლის ძველი საკანალიზაციო ქსელის მუშაობას და ამიტომ საჭიროა ძველი საკანალიზაციო ქსელი მთლიანად იქნას გამოთიშული მდინარისაგან, შეერთდეს ახალ საკანალიზაციო მაგისტრალთან.

საკითხავია, თუ ყოველივე ეს წინასწარვე იყო ცნობილი, მაშასადამე, ცნობილი იყო, რომ სადგური ვერ ამუშავდებოდა ახალი საკანალიზაციო მაგისტრალის აშენებამდე, რატომ არ დაინტერესეს ამ მაგისტრალის მშენებლობა, რატომ არ მოაწყეს საქმე ისე, რომ წელს მაინც ორთაჭალჰესის დროულად ამუშავების საქმე სათუოდ არ გამხდარიყო?

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი იმისათვის, რომ სადგურის დროული ამუშავება უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ. მდინარის შეგუბებასთან დაკავშირებით საჭიროა ერთ-ერთი წყალსაქაჩი სადგურის ახალ ადგილზე გადატანა, საჭიროა რიყეზე საკანალიზაციო დიუკერის შეერთება ორივე მხარის საკანალიზაციო მაგისტრალთან. ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი საძრენაჟო სისტემის მოწყობის დასამთავრებლად. დიდი სამუშაოები აქვთ მშენებლებს მეტეხის ახალი ხიდის მარჯვენა მხარეზე, აგრეთვე სანიაღვრე კოლექტორების გაყვანაზე.

სიგნალის მოლოდინში

მშენებლები და მემონტაჟეები აცხადებენ: სადგური და მისი აგრეგატები, მისი ყველა ნაგებობა მზად არის იმისათვის, რომ სიგნალის მიღებისთანავე ორთაჭალჰესი ამუშაონ.

სამონტაჟო სამუშაოები და ასამუშავებლად გათვალისწინებული აგრეგატების გამოცდა ძირითადად დამთავრებულია, მდინარის წყლის სამართავი ფარებისა და კაშხალის დანარჩენი კვანძების შემოწმებამ დამაკმაყოფილებელი შედეგები გვიჩვენა.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა სადგურის მთელი კომპლექსი გაამზადეს ისე, რომ მდინარის შეგუბების შესაძლებლობისთანავე მისი ნაწილობრივი ექსპლოატაციის დაწყება შესაძლებელი იქნეს.

ახლა მშენებლები აქ ასრულებენ მხოლოდ შენობის შიგნითა მოპირკეთების სამუშაოებს, მუშაობენ ახალი საქალაქო ხიდის ასაგებად, ხოლო მშენებელთა დიდი ნაწილი აქედან უკვე გადასულია ახალი ენერგეტიკული ბაზის სამშენებლო სამუშაოებზე.

სიგნალს მოელიან ორთაჭალჰესის მშენებლები და მემონტაჟეები. მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ამ სასურველ სიგნალს ისინი ჯერჯერობით ვერ მიიღებენ.

* * *

საჭიროა თბილისის საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები მტკვრის კალაპოტში გაჭიანურებული სამუშაოების უმოკლეს ხანში დასამთავრებლად. საჭიროა მშენებლებს მიაშველონ ახალი ძალები, მიაწოდონ მექანიზმები, დიდდიამეტრიანი მილები და საჭირო საშენი მასალები, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა დაუმთავრებელი სამშენებლო სამუშაოს ისეთი ტემპით განვითარება, რომ ორთაჭალჰესის დროული ამუშავება უზრუნველყოფილ იქნას.

თბილისის საქალაქო მეურნეობაში ახლა ეს სამუშაოები ყველაზე მნიშვნელოვანია და აქედან უნდა წარიმართოს ჩვენი საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება.

ზამთრის სეზონი ახლოვდება. საქმე ისე უნდა მოეწყოს, საკანალიზაციო მაგისტრალის და მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობა ისეთი ტემპით უნდა წარიმართოს, რომ ეს გაჭიანურებული მშენებლობა უმოკლეს დროში დამთავრდეს.

ზ. ჯამასპიშვილი,
დ. ლომთაძე.

ოჩამჩირის რაიონში

მშენებლობა კოლმეურნეობებში

სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობაში მთავრდება მექანიზებული ფერმის მშენებლობა 87 სული ჯიშიანი ძროხისათვის. ასეთივე ფერმები შენდება სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობა „შრომაში“.

სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შენდება აგრეთვე ორსართულიანი კაპიტალური შენობა კლუბისა და კოლმეურნეობის კანტორისათვის. ამ შენობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 630.000 მანეთს შეადგენს. ამავე კოლმეურნეობაში დამთავრდა ორი სასილოსე კოშკის მშენებლობა. თვითეულის ტევადობა 50 ტონაა.

მომღერალთა გუნდი

სოფელ კვიტოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბებულია მომღერალთა გუნდი, რომელშიც 40-მდე კოლმეურნეა გაერთიანებული. გუნდს უკვე მომზადებული აქვს 25-მდე ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერა და ცეკვა. გუნდი მომსახურებას უწევს როგორც საუთარ, ისე მეზობელ კოლმეურნეობებს. ამ დღეებში გუნდი კონცერტს გამართავს რაიონულ ცენტრში.

გრძელვადიანი სესხები კოლმეურნეობებს

რაიონის კოლმეურნეობებს კაპიტალური დაბანდებისა და საწარმოო ღონისძიებების დასაფინანსებლად შარშან სასოფლო-სამეურნეო ბანკის ოჩამჩირის რაიონულმა განყოფილებამ მისცა 2.207 ათასი მანეთი, ხოლო 1954 წლის 7 თვის განმავლობაში — 954.200 მანეთი სესხი. წელს მარტო საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის გაცემულია 168.000 მანეთი სესხი.

გ. დოხნაძე.

გარდამავალი დროშა

ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკებს

მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკთა კოლექტივი აღიარეს რესპუბლიკის კომუნალური საწარმოების კოლექტივებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად. მას მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთათვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად 23 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შედგა ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის მუშაკთა საერთო-საზეიმო კრება. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი კ. ბარიგიანი, რომელმაც დროშა ჩააბარა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსს ამხ. გ. მშვიდობაძეს.

დროშის მიღების გამო სიტყვები წარმოთქვეს ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკთა მოწინავე წარმომადგენლებმა — ინჟინერმა ნ. გიორგობიანმა, ცვლის ოსტატმა ა. მაკრაკოვმა, ზეინკალმა ა. სოხაძემ, ელექტრომშვდელებელმა მ. ოლგასშვილმა და მთავარმა ინჟინერმა ბ. ქაჯაიამ. ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკთა კოლექტივის სახელით მათ პირობა მისცეს პარტიას და მთავრობას, რომ არ შეანელებენ მუშაობის ტემპს და კვლავ უფრო გაუმჯობესებენ მუშაობას, შეინარჩუნებენ მიღებულ დროშას.

წერილები რედაქციას

ადგილობრივი ინიციატივა

მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის

მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად დანერგვისათვის და მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში არ კეთდება ყოველივე ეს, რაც საჭიროა. იშვიათად იწვევენ მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა თათბირებს, თუმცა ასეთი თათბირების დროგამოშვებით მოწვევას დიდი ნაყოფი მოაქვს.

ამას წინათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მოიწვია ლითონდამამუშავებელ საწარმოთა სტახანოველების თათბირი, რამაც, უნდა ითქვას, ბევრი რამ გვასწავლა ლითონის დამუშავების საკითხებზე მომუშავეებს. შეიძლებოდა ამ საქმის უფრო ფართოდ მოწყობა. მე ვგულისხმობ რესპუბლიკური კონფერენციების მოწვევას მუშაობის ცალკე პროგრესული და ჩქაროსნული მეთოდების გავრცელების საკითხებზე. ოღონდაც საჭიროა ამ კონფერენციების დღის წესრიგი და მოსასმენ მოხსენებათა თეზისები წინასწარ იქნას გამოქვეყნებული.

ცნობილია, რომ ლითონის ჩქაროსნული დამუშავების საქმე ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა 1948 წლიდან. ლითონის დამუშავების ჩქაროსნული და ძალოსნური მეთოდების გამოყენება მასობრივად დაინერგა საქართველოს ლითონდამამუშავებელ მრეწველობაშიც, ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები წარმატებით. ამ დროიდან განვლილი უკვე ექვსი წლის მანძილზე ჩვენი ლითონდამამუშავებლები სხვადასხვა ქალაქებიდან და საწარმოებიდან თითქმის არასოდეს არ შეხვედრიან ერთმანეთს. მათი შეხვედრა კი საჭირო იყო და ახლაც არის საქმის საერთო წარმატებისათვის. გაზეთები, მართალია, ხშირად აგვიანებენ ქალაქ თბილისელი ავტომობილმშენებლების, თბილისელი ჩარხმშენებლებისა და მანქანათმშენებლების, რუსთაველი მეტალურგების მიღწევებზე, მაგრამ ამ ინფორმაციების გამოქვეყნება გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის არ კმარა.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რამდენად მიზანშეწონილია მუშაობის მოწინავე მეთოდებით მომუშავეთა გამოცდილების გასაცნობად კონფერენციების მოწვევა, მიუხედავად ორგანიზაციული ხასიათის სიძნელეებისა. ცხადია, კონფერენციების მოსაწვევად საჭირო იქნება წინასწარი მუშაობის გაწევა, რასაც მცირე დრო როდი უნდა მოვანდომოთ. საჭირო იქნება სარედაქციო მუშაობის გაწევა კონფერენციებზე წასაკითხი მოხსენებების რედაქტირებისათვის, საჭირო იქნება აგრეთვე თეზისების გამოცემა და გავრცელება და ა. შ. ამ კონფერენციებზე უნდა მოვიწვიოთ არა მარტო მოწინავე მეთოდებით მომუშავენი, არამედ პროფესიების მიხედვით მათი მომიჯნავეებიც. მაგალითად, თუ მოვიწვევთ ლითონდამამუშავებელ ჩქაროსანთა კონფერენციას, მას უნდა დავასწროთ მჭედლები, ლითონმსხმელები, თერმისტები და ა. შ. კონფერენციის მუშაობა უნდა მოეწყოს სექციური წესით.

ასეთი კონფერენციების მოწვევა დიდად შეუწყობს ხელს მუშაობის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვას.

ა. ავაქოვი,
თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი, დოცენტი.

რატომ დაკეტეს ტექნიკური ბიბლიოთეკა?

ოცდაორი წელია, რაც ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამმართველოსთან არსებობდა ტექნიკური ბიბლიოთეკა. იგი მდიდარი იყო მხატვრული, პოლიტიკური და განსაკუთრებით ტექნიკური ლიტერატურით. ბიბლიოთეკის განკარგულებაში 24.000-ზე მეტი წიგნი ირიცხებოდა და მისი ფონდი დღითიდღე იზრდებოდა. ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა აგრეთვე თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი.

ტექნიკური ბიბლიოთეკა ძალიან კარგ დახმარებას უწევდა ადგილობრივ ინტელიგენციას, მაღაროელებს. ბიბლიოთეკას დიდძალი მკითხველი ჰყავდა. აქ განსაკუთრებით ხშირად ნახავდით ახალგაზრდა ინჟინრებს, სტუდენტ-პრაქტიკანტებს, მოსწავლეებს.

წელს ივნისში უცნაური ამბავი მოხდა: ჭიათურაში ჩამოვიდა ფინანსთა სამინისტროს რევიზორი. ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე ყოველთვიურად 1090 მანეთი ხელფასის გაცემის ამბავი რომ გაიგო, ეს დიდ დამახინჯებად მიიჩნია, არც აცივა, არც აცხელა და თავისი ხანგრძლივი მივლინება ჭიათურაში ტექნიკური ბიბლიოთეკის დახურვით დაამთავრა. 24 ივნისიდან ბიბლიოთეკა დაკეტილია.

ბიბლიოთეკის დაკეტვას ყველანი მტკივნეულად განვიცდით. მისი გახსნა აუცილებელია, ვინაიდან იგი ის ბაზაა, სადაც ჭიათურელი ინჟინერ-ტექნიკოსები და მაღაროელები თავის ცოდნას აღრმავებენ, თანამედროვე ტექნიკის განვითარებას ეცნობიან.

ტექნიკური ბიბლიოთეკა დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას.

ფ. იბრაჰიმოვა,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მადნის საცდელი სადგურის ინჟინერი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა კორესპონდენცია, რომელშიც ხხლეებული იყო კასპის სასოფლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ბაინდურაშვილის და უფროსი ბუხჰალტრის გალუსტაშვილის დანაშაულებრივი მოქმედება. კორესპონდენცია ზომების მისაღებად გადაგზავნა საქართველოს სსრ ეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს.

როგორც გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ე. ხარაბაძე გვაცნობებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. გამგეობის 2 ივნისის დადგენილებით კასპის სასოფლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ბაინდურაშვილი და უფროსი ბუხჰალტერი გალუსტაშვილი მოხსნილი არიან სამუშაოდან.

ნორმალური პირობები შევუქმნათ დამსვენებლებს

გაზეთ „კომუნისტისა“ და ბორჯომის რაიონული გაზეთ „კომუნიზმის დროშაო“ რედაქციების რიგიდის მონაწილენი: ვ. ბუაბეძე, ნ. ბიბილეიშვილი, ვ. ლომიძე, დ. ჯიბილეიშვილი, ვ. ლომიძე, შ. ბახარია, თ. ჩოგბოლიანი.

კურორტი ბორჯომი და მისი თვალწარმტაცი ბუნება, მინერალური სასმელი და სამკურნალო წყლები, შესანიშნავი ჰავა საუკეთესო პირობებს ქმნიან შრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის. წელს ბორჯომში გაცილებით მეტი დამსვენებელია ჩამოსული, ვიდრე გასულ წელს იყო. მათი ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 18 სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულება.

ამ სეზონში კარგად მუშაობს საკავშირო პროფსაბჭოს ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი. აქ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეს 22 სახის სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტი ემსახურება. სანატორიუმის ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობენ მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც საჭიროების დროს ოპერაციებსაც აკეთებენ.

ავადმყოფთა დასვენება და მკურნალობა კარგად არის დაყენებული კურორტთა სამმართველოს პირველ, მეორე და მესამე სანატორიუმებში, წაღვერისა და ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმებში, პროფსაბჭოს სანატორიუმ „ფირუზაში“.

როგორც ორგანიზებულ, ისე არაორგანიზებულ დამსვენებლებს კარგად ემსახურება კურორტთა სამმართველოს ფიზიო - სამკურნალო (დირექტორი შ. სურმავა). ამ ყოველდღიურად 23 სახის 500-მდე პროცედურა სრულდება, ავადმყოფები შეუფერხებლად იღებენ მინერალურ, წიწვოვან და ნახშირმჟავა აბაზანებს. წარმოებს ტალახითა და ელექტრობით მკურნალობა.

მოაგარაკეთა დასვენების საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკი. კურორტთა სამმართველომ წელს პარკში აამენა ლამაზი საბაფხულო ესტრადა, რაზეც 350 ათასი მანეთი დაიხარჯა. პარკში დაიდგა ახალი სკამები. საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა გაზონებისა და ყვავილნარების მოსაწყობად. ესტრადაზე გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მსახიობები. აქვე მოწყობილია სასპორტო მოედნები, არის ბილიარდი და სხვა გასართობები.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე შესამჩნევად გაუმჯობესდა დამსვენებელთა მკურნალობა, კვება და მომსახურება ამ საქმეში მაინც ყველაფერი რიგზე როდია. კერძოდ, სეზონზული ნაკლოვანებანია კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. საქვაჭრობის ბორჯომის განყოფილება და კურორტვაჭრობა სანატორიუმებსა და პიონერბანაკებს ვერ უზრუნველყოფენ ბოსტნეულითა და ხილით. პიონერთა ზოგიერთი ბანაკი შეფერხებით იღებს რძესა და კარტოფილს. ბორჯომისა და მისი ჯგუფის კურორტებზე არსად არ არის გახსნილი ბოსტნეულისა და ხილის სავაჭრო წერტილი.

საზოგადოებრივი კვების ქსელში ზოგჯერ ერთფეროვანი და უხარისხო კერძები მზადდება, არის მომხმარებლებისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევები. კურორტვაჭრობის რესტორანი „ბორჯომი“ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. არა ჰყავთ დიეტიკოსი მზარეული, არ ჰყოფნით მაგიდები, რის გამო ხშირად რიგები იმართება. მოსაღილეებისადმი უყურადღებობას იჩენს ზოგიერთი მიმტანი.

საკმარისად არ მარაგდება პროდუქტებით რაიკოოკავშირის წაღვერის სასადილო. სასადილო უზრუნველყოფილი არ არის გამდინარე წყლით, სამზარეულოში უსუფთაობაა.

ძლიერ გადატვირთულია სასტუმრო „ბორჯომი“. 250 საწოლის ნაცვლად აქ გამართულია 380 საწოლი. სასტუმროს ოთახები ზოგერთ პირებს დაკავებული აქვთ თვეობით (ამბროსენ, ნაცონბ-მეგობრობის ძალითო). სასტუმროს პირველ სართულზე, რესტორანის გვერდით უსუფთაობაა.

საბჭოს აღმასკომის სავალდებულო გადაწყვეტილებით გასათბობად აკრძალულია თხევადი საწვავის ხმარება. მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევენ ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები: საწვავად ხმარობენ მაზუთს, რაც ჰაერს აჭუჭყიანებს.

უსუფთაობაა ბორჯომისა და წაღვერის საკოლმეურნეო ბაზრებში, აგრეთვე ქალაქის ზოგიერთ უბანში.

უყურადღებობას იჩენს კურორტთა სამმართველო კურორტ წაღვერის ელექტროგენერატორებით უზრუნველყოფისათვის.

მსგავსი ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ ეს იც საკმარისია მდგომარეობის ნათელსაყოფად.

ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ყოველგვარი პირობები უნდა შეიქმნა მოაგარაკეთა ნორმალური დასვენებისათვის.



ბორჯომი. კურორტთა სამმართველოს № 1 სანატორიუმი.

რა აფერხებს ბოსტნეულის გაზიდვას?

ხილ-ბოსტნეულის მიმღებ პუნქტზე დავა გაიმართა:

— რა საშაროდ გიყრია ეგ კიტრი, რაკი დალპა, აქტი შეადგინე და გადაყარე!

— თუ ძმა ხარ, ჭკუას ნუ მარიგებ, ჩემს საქმეს მე მოვუვლი. შენ ისა თქვი, რატომ დროზე არ ეზიდები ამ ბოსტნეულს?!

დავობდნენ თბილხილბოსტანვაჭრობის სავაჭრო ბაზის დირექტორი მ. ბარხუდაროვი და სოფელ წილკნის მიმღები პუნქტის გამგე მ. ყელეურიძე.

— ეე!.. შვილო, თქვენს ჩხუბში აქ ბოსტნეული ფუჭდება, თბილისის მცხოვრებლებს კი ბოსტნეული ესაჭიროებათ, — ჩაურთო მოხუცმა კოლმეურნემ.

რაშია საქმე? თბილხილბოსტანვაჭრობა, აგრეთვე სხვა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები მცხეთის რაიონის დამამზადებელი პუნქტებიდან ბოსტნეულს სისტემატურად არ ეზიდებიან, ამიტომ დამამზადებელ პუნქტებში დიდი რაოდენობით გროვდება ბოსტნეული, რის გამო ნაწილი ლპება, ნაწილი კი ხარისხს კარგავს.

მაგალითად, სოფელ წილკნის მიმღებ პუნქტში 10 აგვისტოს ხელუხლებლად ეწყო ერთი კვირის წინათ მიღებული კიტრი, რომლიდან ორ ტონაზე მეტი გაყვითლებული და საგრძნობი ნაწილი დამპალი იყო. ამავე რაიცხვისათვის გაუზიდავი იყო სამი დღის წინათ მიღებული 2 ტონამდე პამიდორი, რომელსაც უკვე ობი ჰქონდა მოდებული.

10 აგვისტოსათვის ბოსტნეულის გაზიდვა არც კი ჰქონდა დაწყებული ამერიკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილებას.

დაუშვებლად ჭიანურდება დამზადებული ხილის გაზიდვაც. აგვისტოს პირველ ხუთდღიურში დამზადებული ტყემალი მეორე ხუთდღიურშიც არ იყო გატანილი მიმღები პუნქტებიდან.

მცხეთის რაიონის საკოლმეურნეო ბაღებში ხილ-ბოსტნეულის უხვი მოსავალია. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა პირნათლად მოიხადეს ვალდებულება ხალხმეურნეობისათვის ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულება და ახლა ბოსტნეულს სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშში აბარებენ.

თბილხილბოსტანვაჭრობის, აგრეთვე სხვა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებმა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც მცხეთის რაიონიდან ბოსტნეულის გაზიდვა ევალებათ, უნდა უზრუნველყონ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება, ხოლო პარტიის მცხეთის რაკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი კონტროლი უნდა დაწესონ ამ საქმეზე.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ინჟინრები დისერტაციებს იცავენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის ინჟინრები იფართოებენ კულტურულ-პოლიტიკურ და ტექნიკურ-ცოდნას. ბევრმა მათგანმა დისერტაცია დაიცვა და სამეცნიერო ხარისხი მიიღო.

მარგანეცის ტრესტის მთავარმა გეოლოგმა ა. გავაშელმა დაამუშავა ჭიათურის მარგანეცის საბადოს გეოლოგიის საკითხი, დაიცვა დისერტაცია და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიიპოვა.

ამას წინათ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა. მისი სადისერტაციო შრომა შეეხებოდა მარგანეცის დატვირთვის მექანიზაციას. ოფიციალურმა ოპონენტებმა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა კ. ბარამიძემ და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ტყემალაძემ მაღალი შეფასება მისცეს ინჟინერ დ. გელაშვილის ნაშრომს.

ინჟინრები ვ. ქოიავა და ვ. ცივცივიძე ამზადებენ სადისერტაციო შრომებს. პირველი ამუშავებს მარგანეცის ფენების ღია წესით დამუშავების საკითხს, ხოლო მეორის თემაა მარგანეტის მრეწველობის მექანიზაციის საკითხი.

ქართული ბიბლიოთეკა

ა. ი. ვიშინსკი ნიუ-იორკს ჩავიდა

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გემით „ქუინ მერი“ ნიუ-იორკს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ი. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკის შემდეგი განცხადება გაუკეთა ამერიკისა და უცხოეთის პრესის და რადიოს წარმომადგენლებს, რომლებიც მას შეხვდნენ: „ჩამოვედი რა ნიუ-იორკს, მივესალმები ამერიკელ ხალხს. მე მსურს გამოვთქვა იმედი, რომ ამერიკის პრესა და რადიო მხარს დაუჭერენ ყველა პატიოსანი ადამიანის ღონისძიებებს მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში. გუსურვებ ამერიკელ ხალხს და მსოფლიოს ყველა ხალხებს ყოველგვარ წარმატებას მშვიდობისათვის ბრძოლის ასპარეზზე. ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ხალხისა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის“.

მაო ძე-დუნმა მიიღო ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია

პეკინი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია, რომელიც ჩინეთში იმყოფება.

ჩერჩილისა და მენდეს-ფრანსის მოლაპარაკება

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მას შემდეგ, რაც დღეს გაიმართა ჩერჩილისა და მენდეს-ფრანსის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა იდენი, გამოქვეყნდა განცხადება. როგორც აღნიშნულია განცხადებაში, ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ „საჭიროა მოკლე ხანში გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები“ დასავლეთის ერების ერთიანობის შენარჩუნების მიზნით.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის კრენუმი

ბერლინი, 23 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის XV პლენუმის შესახებ, რომელიც 19 და 20 აგვისტოს დიუსელდორფში მიმდინარეობდა.

პლენუმმა განიხილა საკითხი: „დასავლეთ გერმანიის სახალხო მოძრაობის ეროვნული მნიშვნელობა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ამოცანები“ (მაქს რაიმანის მოხსენება). პლენუმმა განიხილა მოხსენება და შემდეგი მთავარი ამოცანები დასახა გერმანიის კომუნისტური პარტიის ყრილობის მოსამზადებლად:

1. მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის განმტკიცება. ხელფასის გადიდებისათვის, ადენაუერის პოლიტიკის — „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგ მუშათა ბრძოლას დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. გამგეობა ავალებს ყველა კომუნისტს უაღრესად დიდი ყურადღებით მოეკიდონ საგაფიცო მოძრაობის შემდგომ განხორციელებას ბავარიაში და საზოგადოებრივი საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა, რურის ოლქის მელითონელთა და მეშახტეთა, აგრეთვე სხვა სამრეწველო ჯგუფების ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

პარტიის გამგეობა მოუწოდებს ყველა მუშასა და გლეხს, ხელოსანს, ვაჭარსა და ინტელიგენტს სოლიდარობა გაუწიონ გაფიცვის მონაწილეებს.

2. სრული მხარდაჭერა სახალხო კენჭისყრისათვის, რაც მიმართულია ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებისა და საერთო ხელშეკრულების წინააღმდეგ და რაც მოითხოვს საზეიმო ხელშეკრულების დადებას და საოკუპაციო ჯარების გაყვანას, აგრეთვე სახალხო მოძრაობის გაფართოება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წინადადებათა განხორციელებისათვის. განმარტოს მოსახლეობას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ალტერნატივი, რომელიც წამოაყენა საბჭოთა კავშირმა, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მიმართვა. ამან უნდა გამოიწვიოს ფართო მოძრაობა ამ წინადადებათა მიღებისა და იმისათვის, რომ გერმანიის საკითხი განიხილოს ევროპის ქვეყნების ახალმა თათბირმა გერმანელთა მონაწილეობით.

3. პარტიის იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცება.

პარტიის გამგეობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საფუძველია ყრილობის მოსამზადებლად. გარდა ამისა, მან მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს ტელმანის სახელობის გაწვევა პარტიის რიგებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირს

ბერლინი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ რაიონების გლეხთა დელეგაციამ, რომელსაც გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, სახალხო პალატის დეპუტატი ფრიდრიხ ვემერი მეთაურობდა, ინახულა საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი და იმ გლეხთა სახელით, რომლებიც წყალდიდობამ დააზარალა, საბჭოთა მთავრობასა და გერმანიაში საბჭოთა ჯარების სარდლობას გადაუხადა მადლობა დიდსულოვანი, ძმური დახმარებისათვის, რაც მათ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში გაუწიეს.

ელჩთან საუბარში დელეგაციის წევრებმა მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, რომლის მიზანია ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის ბუქარესტის საელჩოში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ბუქარესტი, 25 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. გ. მელნიკოვმა დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც აქ იმყოფება რუმინეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. რუდი და გენერალ-პოლკოვნიკი თ. ი. გოლიკოვი.

სტუმართა შორის დარბაზობას დაესწრნენ: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დამსწრეთა შორის იყვნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვან იუ-პინი და ბუქარესტში აკრედიტებული სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

დარბაზობამ გულითად და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი თავისუფლების დღის—9 სექტემბრისათვის

სოფია, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1944 წლის 9 სექტემბერს სახალხო აჯანყების და ფაშიზმისა და იმპერიალისტური მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 10 წლისთავისათვის.

ძმური სალამი და სამარადისო მადლობა, ნათქვამია მოწოდებებში, ჩვენს განმათავისუფლებელს — დიდ საბჭოთა კავშირს! დიდება განმათავისუფლებელ უძლეველ საბჭოთა არმიას. ცოცხლობდეს და სულ უფრო განმტკიცდეს და აყვავდეს საუკუნეებში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობა! დაე განმტკიცდეს ხალხთა სოლიდარობა სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის, ატომური იარაღის აკრძალვის, ევროპის ყველა ხალხის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, დაე განმტკიცდეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი და უძლეველი ბანაკი დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით!

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბულგარეთის მშრომელთ მუშეობდეს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის გარშემო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მეორე ხუთწლიანი გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ძირეული გაუმჯობესებისაკენ, მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისაკენ, სოციალიზმის აშენებისაკენ.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აგრეთვე მოუწოდებს ბულგარეთის მშრომელთ მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობაში.

ჰიტლერული ოკუპაციისაგან პარიზის განთავისუფლების მეათე წლისთავი

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). 10 წლის წინათ — 1944 წლის 25 აგვისტოს — პარიზი ჰიტლერული ოკუპაციისაგან გათავისუფლა აჯანყებულმა მოსახლეობამ. ამ დღეებში პარიზის განთავისუფლების კომიტეტის, წინაალმდეგობის მოძრაობის სხვადასხვა ორგანიზაციის, პროფკავშირებისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით, კომუნისტური პარტიისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მთელ საფრანგეთში ეწყობა ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი მიტინგები, კრებები და მანიფესტაციები.

სენის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ და პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ დედაქალაქის მცხოვრებთ მიმართეს მოწოდებით მონაწილეობა მიიღონ განთავისუფლების წლისთავის დღესასწაულში.

პარიზის განთავისუფლების კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა პარიზის მოსახლეობისადმი, რომლითაც ყველა პარიზელს მოუწოდა მონაწილეობა მიიღოს ყველა სხვადასხვა სახალხო კრებასა და მანიფესტაციაში, რათა „დაადასტუროს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი და მშვიდობის საქმისადმი ერთგულება“. კომიტეტის მოწოდებით კვირას, 22 აგვისტოს, მონპარნასის ვაგზლის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით პარიზელმა, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი განუხრელი ნება განაგრძონ ბრძოლა საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

ამ დღეებში მიტინგები და კრებები გაიმართა პარიზის ბევრ ოლქსა და მუშათა განაპირა უბნებში.

პარიზის განთავისუფლების წლისთავს აღნიშნავს არა მარტო დედაქალაქი და მისი მუშათა გარეუბნები. მთელ საფრანგეთში იმართება კრებები და მიტინგები. საწარმოებში გროდდა ხელმოწერა პეტიციებზე, რომლებიც შეიცავენ პროტესტს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმების წინააღმდეგ. მშრომელები არჩევენ დელეგატებს, რომლებიც დედაქალაქში ეგზავნებიან, რათა მათ პარლამენტსა და მთავრობას აცნობონ ხალხის ნება.

მოძრაობა, რომელიც საფრანგეთში პარიზის განთავისუფლების 10 წლისთავთან დაკავშირებით გაჩაღდა, — დემონსტრაციები, კრებები, რეზოლუციები, პეტიციები და მიმართვები — იმას მოწმობენ, რომ ფრანგ ხალხს არ დავიწყებია ის ტანჯვა, რაც მას ომმა და ჰიტლერულმა ოკუპაციამ მოუტანა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას გერმანიის მილიტარიზმის — საფრანგეთის უბოროტესი მტრის აღორძინება.

მიტინგი პარიზში

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). აღნიშნავენრა ჰიტლერელ ოკუპანტთაგან პარიზის განთავისუფლების მე-10 წლისთავს, საფრანგეთის დედაქალაქის მშრომელებმა გუშინ მოაწყეს მიტინგი, რომელიც მიეძღვნა წინაალმდეგობის მოძრაობის გმირის პოლკოვნიკ ფაბიენის ხსოვნას.

მიტინგზე გამოსულნი ყველანი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ფაბიენის საუკეთესო ხსოვნა იქნება ბრძოლის განგრძობა იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთი გერმანია შეაიარაღონ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნიღბით.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ოგემ განაცხადა:

„დადგა სერიოზული მომენტი. დაე საზოგადოებრიობამ დაუყოვნებლივ თქვას უარი ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაზე! ძირს ევროპის თავდაცვითი გაერთიანება!“.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობს ცდებს შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია „ევროპის არმიის“ ნიღბით, და ეს რეზოლუცია გაუგზავნეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მენდეს-ფრანსს.

ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

თეირანი, 24 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ქეიჰანმა“ გამოაქვეყნა ტექსტი თავისი კორესპონდენტის საუბრისა ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზაჰედისთან, რომელიც მეთაურობდა ირანის დელეგაციას, რომელიც მან ინახულა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში.

აღნიშნა რა ის კარგი მიღება, რომელიც მოუწყეს ირანის დელეგაციას ჯულფაში, ბაკოში, მოსკოვში და აგრეთვე გამოფენის გახსნისას, ზაჰედიმ თქვა, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ყველაზე გრანდიოზული გამოფენაა, რომელიც კი უნახავს მას ოდესმე. მან განაცხადა, რომ ირანის დელეგატები დღეში ასწრებდნენ 2-3 პავილიონის დათვალიერებას და რომ ყველა პავილიონის გულდასმით დათვალიერებისათვის საჭირო იქნებოდა სულ ცოტა ერთი წელიწადი.

ჩვენი ყურადღება, განაგრძო ზაჰედიმ, განსაკუთრებით მიიპყრო მოსახლეობის შემოქმედებითმა მუშაობამ, რომელიც შესამჩნევია მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განუწყვეტლივ მზარდმა მექანიზაციამ საბჭოთა კავშირში. ამჟამად საბჭოთა კავშირის მინდვრებში მუშაობს ერთ მილიონზე მეტი ტრაქტორი, რომლებიც დამზადებულია სსრ კავშირში. მექანიზაციის მეოხებით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მოსავლიანობა წარსულთან შედარებით გაიზარდა.

მეორე საყურადღებო ფაქტია, აღნიშნა ზაჰედიმ, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, საბჭოთა ყაზახეთისა და სხვა რაიონების გვალვიანი ადგილების უზრუნველყოფა წყლით. ამ რაიონების წყლით უზრუნველყოფის პრობლემა წყდება კაშხალების მშენებლობის საშუალებით. აზერბაიჯანში, მაგალითად, აგებულია კაშხალი ისეთი წყალსაცავით, რომელიც 100-ჯერ აღემატება კერეჯის კაშხალის წყალსაცავს.

გარდა გამოფენისა, განაგრძო ზაჰედიმ, ირანის დელეგაციამ ინახულა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო აკადემია, აგრეთვე ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. საერთოდ, თქვა მან, ჩვენ დავდიოდით თეატრებში.

ერთი სიტყვით, თქვა დასასრულ ზაჰედიმ, ჩვენ ვნახეთ ყურადღების ღირსი პროგრესი ყველა დარგში.

ამერიკელთა შეღწევა ირანში

თეირანი, 24 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ფარმანის“ ცნობით, უახლოეს დროში ირანის ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობას შეუდგება ამერიკელ სპეციალისტთა პირველი ჯგუფი, რომელიც თეირანს ჩამოვიდა ირანის მთავრობის მოწვევით.

ირანის ფინანსთა მინისტრმა ამინიმ განაცხადა, რომ ამერიკელი სპეციალისტები „ითანამშრომლებენ ირანელ მოსამსახურეებთან და ასწავლიან მათ გადასახადის აკრეფის ახალ სისტემას“.

ჯაკარტის საერთაშორისო ბაზრობაზე

ჯაკარტა, 24 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა პავილიონს ჯაკარტის საერთაშორისო ბაზრობაზე. გაზეთები დაწვრილებით ასწერენ საბჭოთა პავილიონში გამოფენილ სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანებს და მძიმე მრეწველობის პროდუქციის სხვადასხვა ნიმუშს.

გუშინ საბჭოთა პავილიონი დაათვალიერეს ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნარიომ, იუსტიციის მინისტრმა გონდოკუსუმომ, შრომის მინისტრმა აბიდინმა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა და ტრანსპორტის მინისტრებმა. ექსპონატების დაწვრილებით გაცნობის შემდეგ სუნარიომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭოთა პავილიონი მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. „საბჭოთა კავშირის მონაწილეობის ბაზრობაში, — ხაზგასმით აღნიშნა სუნარიომ, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი იძლევა იმედს, რომ სსრ კავშირსა და ინდონეზიას შორის ურთიერთსარგებლობის საფუძველზე დამყარდება ეკონომიური ურთიერთობა“.

ბრაზილიის ამბები

პრეზიდენტ ვარგასის თვითმკვლელობა

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა რიო-დე-ჟანეიროდან გადმოგვცა, ბრაზილიის მთავრობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრაზილიის პრეზიდენტმა ვარგასმა თავისი კაბინეტის წევრებთან თათბირის შემდეგ „გადაწყვიტა აიღოს“ 90 დღის შვებულება და პრეზიდენტის ფუნქციები გადასცეს ვიცე-პრეზიდენტ კაფე ფილოს.

უფრო გვიან ბრაზილიის რადიომ გამოაცხადა, რომ ვარგასმა თავი მოიკლა.

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან გადმოგვცემს, რომ წერილში, რომელიც იპოვნეს ვარგასის გვამის ახლოს, ნახსენებია მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ „ოპოზიცია საზღვარგარეთ ნავთობისა და ელექტროენერგიის დარგში“.

როგორც რეიტერის სააგენტოს რიოდეჟანეიროელი კორესპონდენტის მეორე ცნობიდან ჩანს, ვარგასის გადადგომა მოხდა „შეიარაღებული გადატრიალების საფრთხის“ პირობებში.

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). ვარგასის თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, როგორც იუნაიტედ პრესის რიოდეჟანეიროელი კორესპონდენტი იუწყებოდა, ბრაზილიის შეიარაღებული ძალების მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა მოიწვიეს საიდუმლო თათბირი, რათა გადაეწყვიტათ, დარჩება პრეზიდენტი ვარგასი ხელისუფლების სათავეში, თუ შეცვლილ იქნება.

მონტევიდეო, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც 18 აგვისტოს პროგრამერიკულმა გაზეთმა „კორეიო და მანიჰა“ გამოაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბრაზილიაში ჯეიმს კემპერმა ინახულა ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი კაფე ფილო და ამერიკის მთავრობის სახელით იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვია. ფილომ მიწვევა მიიღო. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 ოქტომბერს გაემგზავრება და იქ ორ კვირას დარჩება. გაზეთი წერდა, რომ ფილოს მიწვევის მომენტიდან მის გამგზავრებამდე „შეიძლება ბევრი ამბავი მოხდეს“, კერძოდ, იგი შეიძლება „რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტიდან პრეზიდენტი“ გახდეს.

დასავლეთ გერმანიაში ამერიკის სამხედრო მისიის დაარსების გამო

ბერლინი, 24 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ჟურნალმა „დერ შპიგელმა“ გამოაქვეყნა ცნობა დასავლეთ გერმანიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის დაარსების შესახებ. „უეჭველია, — წერს ჟურნალი, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების მისია ბონში სხვა ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო მისიაზე დიდი იქნება. ხმები დადის, რომ მისიის შემადგენლობაში იქნება 400 წევრი“.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საქართველოს მუზეუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ საკამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სტაციონარული გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურები, მეცხოველეობა, საკვებმოპოვება, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ელექტროფიკაცია, წყალთა მეურნეობა და სხვ.

გამოფენაზე მოცემული მრავალრიცხოვანი ექსპონატები, მხატვრული პანოები, დიაგრამები, ფოტოსურათები და ტექსტები ასახავენ საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და მოწინავე გამოცდილების ფართო მიღწევებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებს.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში წარმოდგენილია ძირითადი სამრეწველო ჯიშების ვაზი და ყურძენი, აგრეთვე მზა პროდუქცია, რაიონების მიხედვით ვენახის ფართობების გავრცელება და მისი ჯიშობრივი შემადგენლობა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ალაზნის, ტირიფონის, სალთვისის და ზემო სამგორის სარწყავი არხების სქემები, ფოტოსურათები, 1940 წლიდან 1953 წლამდე ელექტროსადგურების რაოდენობათა და სიმძლავრეთა ზრდის დიაგრამები.

მხატვრულ პანოზე ნაჩვენებია მტს-ების რაოდენობის ზრდა, ზოგიერთი მტს-ის დიდი მიღწევები.

მეცხოველეობის დარგში ნაჩვენებია ახალი ჯიშის ცხვრები, ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის ჯიშები, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა და სხვ.

საკვებმოპოვების განყოფილებაში მოთავსებული ოჯახ ასახავს სათიბ-საძოვრების გავრცელებას. აქვეა საკვები ბალახების, აგრეთვე სასილოსე კულტურების ჰერბარიუმები.

მემინდვრეობის განყოფილებაში მოცემულია ხორბლის მრავალი ახალი და ძველი ჯიში. აქვეა ხორბლის მოსავლიანობის ამალლების საქმეში მოწინავე კოლმეურნეობების მაჩვენებლები. წარმოდგენილია ხიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მისი თესვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. გამოფენილია აგრეთვე ადგილობრივი ჯიშის ღომისა და ქერის ნიმუშები.

ჩაის გავრცელების რუკა, დიაგრამები ასახავენ ჩაის კულტურის განვითარებას, მისი მოსავლიანობის ზრდას წლების მიხედვით. ნაჩვენებია ჩაის ტიპიური პლანტაცია, მოწინავე ადამიანები, ჩაის პროდუქციის ექსპონატები.

სხვა დარგებთან ერთად წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული მცენარეები — ციტრუსები, ეთერზეთოვანი და ტექნიკური კულტურები, მებალეობა-მებოლეობა ხილის ადგილობრივი და სამრეწველო ჯიშების მრავალი ფოტოსურათითა და ექსპონატით, მებოსტნეობა და სხვა დარგები.

გამოფენა ღიაა ყოველდღე, გარდა ორშაბათისა, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

სურათზე: ციტრუსები ტერასებზე.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება წყალბურთში

სევასტოპოლში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა. მას მიენიჭა სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონის წოდება და გადაეცა გარდამავალი ჯილდო. მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდნენ სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ მოსკოვისა და ლენინგრადის წყალბურთელთა გუნდები.

ჩვენი ქვეყნის პირველობა ჭადრაკში ჭაბუკთა შორის

ლენინგრადში ქალაქის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჭაბუკთა შორის. თამაში მიმდინარეობდა ორ ჯგუფად. მონაწილეობდა 16 გუნდი.

პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა რუსეთის ფედერაციის ნორჩი მოჭადრაკეები, მეორე ჯგუფში — ბელორუსიის ჭაბუკთა კოლექტივი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 8 სექტემბერს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თამარ ფილიპეს ასული მახარაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„А. П. Чехов в борбье с народничеством“.**

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 8 სექტემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირინე სიმონის ასული ნათიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Основные образы и проблемы романов Л. Леонова „Соть“, „Скутаревский“ и „Дорога на океан“.**

ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 8 სექტემბერს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თინათინ ივანეს ასული ყენტი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„აფხაზეთის ასსრ სოფელ ოქუმის „ლენინის სახელობის კოლმეურნეობა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 7 სექტემბერს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში (მეორე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვახტანგ გიორგის-ძე პაპალეშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Исследование применимости имеющихся годографов для определения сейсмических элементов близких землетрясений в Закавказье“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. მათემატიკური ანალიზის კათედრა — დოცენტი 1, 2. მოლეკულური ფიზიკის კათედრა — დოცენტი 1, 3. არაორგანული ქიმიის კათედრა — დოცენტი 1, 4. ორგანული ქიმიის კათედრა — დოცენტი 1, 5. ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრა—დოცენტი 1, 6. ახალი ისტორიის კათედრა — დოცენტი 1, 7. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — პროფესორი 0,5 — დოცენტი 1, 8. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — დოცენტი 1, 9. რუსული ენის № 2 კათედრა — დოცენტი 1, 10. ჟურნალისტიკის კათედრა — დოცენტი 1, 11. გერმანული ენის კათედრა — დოცენტი 1.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, უნდა შემოიტანონ განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და სამეცნიერო ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, საქმიანი, და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი აცხადებს იმ მსმენელთა დამატებით მიღებას ელექტროტექნიკურ სპეციალობაზე, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარეს მისაღები გამოცდები მათემატიკაში, რუსულ და ქართულ ენებში და იქ ვერ მოეწყვნენ.

სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი და 4 თვე.

ტექნიკუმის მისამართია: კამოს ქუჩა № 70.

დირექცია.

სახელმწიფო დაზღვევა აწარმოებს სიცოცხლის ნებაყოფლობით დაზღვევას

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.

დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ დაზღვევის აგენტი.

**სახდაზღვევ